საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№168 (12 238)

19 ივლისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი

# ქართველი პრიმა პრიმერაში

34 წლის შოთა არველაძემ გუშინ, ნაშუადღევს, კონტრაქტი გააფორმა ვალენსიის "ლევანტესთან". გარიგება თურქმა აგენტმა ბაირამ თუთუმლუმ გაჩარხა. "ტრაბზონსფორის", "აიაქსის", "რეინჯერსისა" და "ალკმაარის" შემდეგ "ლევანტე" მეხუთე უცხოური გუნდია საქართველოს ნაკრების საუკეთესო მეგოლისთვის. შოთა ყოველთვის ლიდერ გუნდებში თამაშობდა, თუმცა ელიტურ ლიგაში არ უთამაშია და ეს კარიერის ბოლოსთვის მოიტოვა. არველაძეს გუშინვე შევეხმიანეთ ვალენსიაში...


არველაძე ლევანტემ გუშინ ოფიციალურად წარადგინა

- 1+1 კონტრაქტი გავაფორმე, თუ დამდეგ სეზონში მინიმუმ 25 მატჩს ვითამაშებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება კიდევ ერთი წლით.

**- "აიაქსი" და "რეინჯერსი" - ქარიზმატულ გუნდებში კი გითამაშია, მაგრამ ალბათ ხინჯად გრჩებოდა ის, რომ ელიტურ ლიგაში აქამდე არ მოგისინჯავს ძალა...**

- არანაირი ხინჯი, ბედნიერი ვიყავი იმით, რომ კარგ გუნდებში ვთამაშობდი. უბრალოდ, გამიჩნდა შესაძლებლობა, ელიტურ ლიგაში მეთამაშა და გამოვიყენე. სხვა საქმეა, რომ უკეთესი იქნებოდა, ადრევე გადავსულიყავი, მაგრამ რაც არის, ეგ არის.

**- რომელი ნომრით ითამაშებ "ლევანტეში"?**

- "ლევანტეს" სტადიონის ჰოლში კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ პრეზენტაციაც მოეწყო თავისი პრესკონფერენციით, თუმცა ეს უნომრო მაისურით მომინია. ნომერს მალე ავიღებ, დღესვე უნდა შევუერთდე გუნდს, რომელიც შეკრებაზე მადრიდთან ახლოსაა დაბანაკებული და გუნდის მწვრთნელსაც პირველად იქ შევხვდები.

**- მუხლის ქრონიკული ტრავმა ახლა როგორ გაქვს?**

- მუხლს არაუშავს და იმედია, დიდად არც მერე შემაწუხებს. ყოველ ღამე ვლოცულობ, რომ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყოს.

**- "ალკმაარის" მწვრთნელ ლუის ვან გაალს როგორ დაემშვიდობე?**

- ერთმანეთს წარმატება ვუსურვეთ. მითხრა, 11 აგვისტოს მილანის "ინტერს" ვეთამაშებით და გვინდა, გამოსამშვიდობებელი მატჩი მოგიწყოთ და იქნებ "ლევანტეს" სთხოვო, "ალკმაარი"-"ინტერის" მატჩში თამაშის ნება დაგრთონო. ვნახოთ, თუ მოხერხდება ეს.

**- იქნებ, პრიმერა დივიზიონში თამაშმა ნაკრებში დაბრუნება გადაგაწყვეტინოს...**

- არა, ეს გამორიცხულია. მსურს, გამოსათხოვარი მატჩი ვითამაშო ნაკრების ერთ-ერთ საშინაო შეხვედრაში, თუ, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი იქნება.

აქვე შემოგთავაზებთ ქართველი ფეხბურთელის გამონათქვამებს ოფიციალური წარდგენიდან, რომლებიც ესპანური წყაროების ("მარკა", "ასი", "ნოსტრე სპორტი" და "გოლი") მიხედვით შევკრიბეთ: *"მოხარული ვარ, რომ "ლევანტეში" ჩავირიცხე. ასაკის მიუხედავად, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო ლიგაში ვითამაშებ. ახალგაზრდული შემართებით ვარ. თანაც ისეთ კლუბში გადავედი, რომელსაც ჩემი აყვანა კარგა ხანია სურს და მენდობა. შევეცდები, მაქსიმუმი გავილო "ლევანტესთვის", ვერ გეტყვით რამდენ გოლს გავიტან მომავალ სეზონში, მაგრამ ერთს შეგპირდებით - ჩემი მხრიდან ცდას არ დავაკლებ. ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას მხოლოდ ერთი, გამოსამშვიდობებელი მატჩისთვის ვაპირებ. გუნდს 15 წელი ვემსახურე და 25 გოლი გავიტანე, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რომ სანაკრებო კარიერა დავასრულე"*. საზეიმო წარდგენის შემდეგ შოთა არველაძე კლუბის ტექნიკურ დირექტორთან ერთად, სორიაში გაემგზავრა, სადაც ახალ კლუბს შეკრებაზე შეუერთდა.

დავით თავართქილაძე,
ნიკოლოზ ნეფარიძე


ლევან ჯანეზაშვილი
ბელხატოვიდან

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# გლდანშიც და ბელხატოვშიც: შენ, ყველაზე მაგარო!

თბილისიდან ლოძისკენ "ბოინგმა" დათქმულ დროს, 8 საათსა და 20 წუთზე აილო გეზი. "ამერის" ძირითადი გუნდის წევრთაგან, პოლონეთში სამი კაცი არ წამოსულა. **რატი წინამძღვრიშვილისა** და **ბესიკ ჩიმაკაძის** მძიმე ტრავმების შესახებ კარგად იცით, მათ გარდა, საქართველოს თასის ორგზის მფლობელებმა ახალწვეული **არჩილ ალავიძე** მოისაკლისეს, რომელიც შარშან "სიონი"-"ლევსკის" მატჩში გააძევეს და დისკვალიფიკაციას იხდის. დღევანდელ განაცხადს მიღმა სამი ამერელი დარჩება, **გიორგი ჩიხრაძის** განკარგულებაში 21 ფეხბურთელია.

კლუბის ორი წარმომადგენელი პოლონეთში დაგვხვდა. გენერალური მენეჯერი **ვახტანგ ბზიკაძე** და იურისტი **კახა ნიკურაძე** ბელხატოვს წინა დღით ესტუმრნენ.

ხომალდი ლოძის "ლუბლინეკის" აეროპორტში დათქმულ დროში, სამ საათსა და ათ წუთში დაჯდა. ჰო, მანამდე გზაში "ამერის" კაპიტან **გიორგი დავითნიძეს** დაბადების დღე მივულოცეთ. "ჯორჯო" 29 წლისა შესრულდა.

აეროპორტი სწრაფად დავტოვეთ. "ამერის" დახვედრა, ლოძიდან ბელხატოვამდე გაცილება, სასტუმროში დაბინავება, პრესკონფერენციის ორგანიზება და სხვა წვრილმანები "ბელხატოვის" ხელმძღვანელობამ ქალაქში მცხოვრებ ერთადერთ ქართველს, ქალბატონ **რუსუდან მაჭარაშვილს** სთხოვა. თურმე, იგი ბელხატოვში უკვე 25 წელიწადია, ცხოვრობს და პოლონელ მეუღლესა და ქალ-ვაჟთან ერთად მცირე ბიზნესითაა დაკავებული.

ლოძიდან ბელხატოვისკენ ამერელები ავტობუსით გაემგზავრნენ, მედიელებმა კი ორმოცდაათიოდე კილომეტრი მიკროავტობუსით გავიარეთ. გზად საინტერესო არაფერი შეგვხვედრია, რადენიმე ერთმანეთის მსგავსი უსახური დაბა გავიარეთ, თუმც შიგადაშიგ ლამაზი, ვაკეზე გაშენებული ტყეებიც შეგვხვდა. ქალბატონმა რუსუდანმა გვითხრა, მთელი ჩვენი ქალაქი "ამერთან" თამაშის მოლოდინშიაო. ყველა ბილეთი კარგა ხნის გაყიდული ყოფილა, თანაც, მსურველები "ბელხატოვის" ევროდებიუტს მინიმუმ 15 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ზლოტის საფასურად თუ ნახავენ.

2

# მონდომება და გამარჯვებისკენ სწრაფვა

დღეს, უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპს თბილისის "დინამო" "ვადუცთან" საშინაო მატჩით დაიწყებს. მანამდე კი უეფას განაცხადში კიდევ მოხდა ცვლილება - "დინამომ" **რომან დობეში** დაიმატა.

მეკარეები: **დიდიე ოვონო, სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე.**

მცველები: **გულვერდ თომაშვილი, გურამ კაშია, შოთა კაშია, მილოშ კრშკო, ნედ ზელიჩი, უჩა ლობჟანიძე, რომან დობეში.**

ნახევარმცველები: **დავით დიღმელაშვილი, მიხეილ ხუციშვილი, ლევან ხმალაძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი მერებაშვილი, დავით ოდიკაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, სანდრო კობახიძე, ოლეგ გველესიანი.**

თავდამსხმელები: **ბორის გონჩაროვი, ზამირ ჯანაშია, ილია სპასოევიჩი, ჯორჯ აკირემი.**

ამ 24 მოთამაშიდან. **დუშან უჰრინი** 18 ფეხბურთელს შეარჩევს. შეხვედრის მონაწილეებმა გუშინ მიხეილ მესხის სტადიონზე ივარჯიშეს და პრესკონფერენციაც გამართეს.

2


დინამომ გუშინ ვაკეში ივარჯიშა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მსოფლიოს ახალკაცი მიხედავს

## საქართველოს ნაკრებს კი გენუაში ელიან


ნოდარ ახალკაცი

ნოდარ ახალკაცი მხოლოდ ქართული ფეხბურთისთვის მუშაობას არ სჯერდება და პარალელურად ფიფასა თუ უეფას სხვადასხვა კომიტეტში მსოფლიოში სპორტის ამ სახეობის წინსვლისთვის იღწვის. რამდენიმე თვის წინათ ახალკაცი ეუფაში ეროვნული ნაკრებების შეჯიბრებების კომიტეტის მესამე ვიცე-თავმჯდომარედ აირჩიეს, რამდენიმე დღის წინათ კი, ის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტშიც შეიყვანეს. ამ კომიტეტში ევროპას რვა წარმომადგენელი ჰყავს და მათ შორის ერთი ქართველი.

აქვე საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებულ ერთ სიახლესაც გეტყვით. იტალიიდან მოსული ფაქსის თანახმად, 13 ოქტომბერს, იტალია-საქართველოს მატჩი, სავარაუდოდ, გენუაში გაიმართება. მატჩის ჩატარების ადგილი ერთ კვირაში დაზუსტდება, მაგრამ რაკი იტალიელებს მისი ჩატარება გენუაში აქვთ ჩაფიქრებული, ნაკლებსავარაუდოა, ამას ხელი რაიმემ შეუშალოს.

უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები



პოლონელების გუშინდელი ვარჯიში

ბელხატოვი-ამერი

# გლდანშიც და ბელხატოვშიც: შენ, ყველაზე მაგარო!

*პირველი გვერდიდან*

ლოძიდან ბელხატოვამდე წვიმას არ გადაუღია, საკმაოდ ციოდა. თუმცა საბედნიეროდ, ერთადერთი, რაშიც ავდარმა შეგვიშალა ხელი, ბელხატოვის განთქმული ელექტროსადგურის ნახვა იყო. ზოგადად ქალაქის შესახებ კი, თუ რაიმე საინტერესოს გადავაწყდით, ვრცლად ხვალ გიამბობთ.

ფეხბურთელთა წყნარმა საათმა ჩაიარა, გამოიდარა და **გიორგი ჩიხრაძე,** გიორგი დავითნიძესთან ერთად, ბელხატოვის სტადიონს პრესკონფერენციის ჩასატარებლად ესტუმრა.

ევროპული საზომით, შვიდიათასიანი "ბელხატოვი" დიდი ვერაფერი არენაა, მაგრამ საქართველოში ხუთიოდე ასეთი სტადიონი რომ მოგვცა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. რეკონსტრუქცია ახლაც მიმდინარეობს, კოხტა სტადიონს უკვე დაამატეს ათასადგილიანი მსუბუქი კონსტრუქციის ტრიბუნა, მომავალი წლისთვის კი "ბელხატოვი" ათი ათას ქომაგს დაიტევს. ბალახის საფარი საუკეთესოა, გასახდელებიც ჩინებული, ერთი ეგაა, საპრესკონფერენციო დარბაზი, უფრო სწორად, მომცრო ოთახი, მიწისქვეშ მოუწყვიათ და სუნთქვა ძალიან ჭირს.

ისე კი, პოლონელებს სტუმარ-მასპინძლობას ვერაფრით დავუწუნებთ. მათ ამერელთა ყველა მოთხოვნა პირნათლად შეასრულეს, სასტუმრო "სანტინში" ზუსტად ისეთი მენიუა, როგორიც "ამერის" სამედიცინო შტაბს სურდა. სტადიონზეც ყველანაირი პირობაა საიმისოდ, რომ ჩვენი გუნდი დღევანდელი დაპირისპირებისთვის სათანადოდ მოემზადოს.

სანამ ქართველთა პრესკონფერენცია დაიწყებოდა, დარბაზში პოლონელ ჟურნალისტებს (ჩვენ არ შეგვიშვეს) "ბელხატოვის" ახალი სპონსორის, ერთ-ერთი მსხვილი ადგილობრივი ენერგოკომპანიის მამები ხვდებოდნენ. 15-20 წუთი დარბაზის კართან ვიდექით და ღირსშესანიშნავ ფაქტსაც წავაწყდით. სტადიონის ეზოში "ტოიოტას" კაბრიოლეტი შემოგრიალდა, საიდანაც "ბელხატოვის" მთავარი და, ალბათ, ერთადერთი ვარსკვლავი **ლუკაშ გარგულა** გადმოვიდა. პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა გასახდელისკენ გასწია, მალე იქიდან ორი ბილეთით გამობრუნდა და ქერათმიან ლამაზმანთან ერთად, სტადიონი სწრაფადვე დატოვა.

გარგულას "ამერთან" თამაშის შანსი ათი პროცენტიაო, იტყვის რამდენიმე წუთში "ბელხატოვის" მესაჭე, მაგრამ დაგვეთანხმებით, საპასუხისმგებლო მატჩისთვის ასე ათპროცენტიანი ფეხბურთელიც კი არ ემზადება. გარგულა დღეს არ ითამაშებს, ამის თქმა გადაჭრით შეგვიძლია, ამის ოფიციალური მიზეზი ტრავმაა, მაგრამ ვინ იცის, შესაძლოა, ლუკაშმა რამდენიმე დღეში რომელიმე სოლიდურ ევროპულ კლუბში ამოყოს თავი. პრინციპში, ღმერთმა ხელი მოუართოს, მისი არყოფნა "ამერისთვის" დიდი პლუსია.

ჩიხრაძის პრესკონფერენციის დასრულებიდან ათიოდ წუთში სტადიონის ტერიტორიაზე "ბელხატოვის" მთავარი მწვრთნელი **ორესტ ლენჩიკი** გამოჩნდა. ქართველმა და პოლონელმა სპეციალისტებმა საკმაო ხანი ისაუბრეს, თუმცა უმჯობესი იქნება, ტრაფარეტული კომენტარებით თავს თუ არ შეგაწყენთ და მათი საუბრიდან მოკლე მონარიდებს თუ შემოგთავაზებთ.

*გიორგი ჩიხრაძე: "ბელხატოვი" ძლიერი გუნდია, არ მგონია, "ჰერტაზე" ნაკლები იყოს. მეტოქე კარგად შევისწავლეთ, მაგრამ მიჭირს იმის თქმა, როგორ თამაშს ვიხილავთ. გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ ფრეც დაგვაკმაყოფილებს. შემდგომ ეტაპზე გასული ხომ ორ კვირაში გამოვლინდება. ჩეხური შეკრება ნაყოფიერად გამოვიყენეთ, პირველ რიგში, ფიზიკური კონდიციები გავიუმჯობესეთ, რაც "ბელხატოვთან" მატჩში აუცილებლად გამოჩნდება".*

*ორესტ ლენჩიკი: " ალბათ, გარგულას, ნოვაკისა და უჟეკის გარეშე ვითამაშებთ, რაც ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ ვეცდებით, ეს სამეული სათანადოდ შევცვალოთ. შემდგომ ეტაპზე გავლის შანსი ორივე გუნდს აქვს, ვფიქრობ, ყველაფერი თბილისში გადაწყდება. გვინდა, მოვიგოთ და გოლი არ გავუშვათ. "ამერის" რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე, ვფიქრობ, გუნდის ლიდერი სულიკო დავითაშვილია".*

"ამერმა" "ბელხატოვზე" გუშინ გვიან სალამოს, პროჟექტორების შუქზე ივარჯიშა, ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, პოლონეთში ჩამოსული ყველა მოთამაშე მწყობრშია, განწყობა კი საბრძოლოა. გლდანელები მსუბუქ მოთელვას დღესაც გაივლიან, ამჯერად უკვე სათადარიგო მოედანზე. "ბელხატოვის" წვრთნა კი ვერ ვნახეთ, გუნდმა ქალაქიდან 40 კილომეტრის მოშორებით, ოლიმპიურ ბაზაზე ივარჯიშა. სალამოს "ბელხატოვისა" და "ამერის" ხელმძღვანელები ვახშმად დასხდნენ და სამახსოვრო სუვენირები გაცვალეს.

თხრობას ერთი სასიამოვნო დეტალით დავასრულებთ. ბელხატოვში "ამერს" საქომაგოდ კლუბის ჰიმნის ავტორი და შემსრულებელი, ნიკოლშოუელი **გია ნიკოლაძე** ჩამოჰყვა. მისი მონდომებითა და ჩვენი, მედიელთა აქტიურობის წყალობით, "ბელხატოვის" სტადიონის ადმინისტრაციამ ჩვენი თხოვნა მიიღო და დღევანდელი მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბელხატოვში ყველანი მოვისმენთ "შენ ყველაზე მაგარო'...

ბოლოს კი პოლონელთა სავარაუდო შემადგენლობასაც გაგაცნობთ: **კოვალჩიკი, ტეტრაშაკი, ზეცოტი, პოპეკი, ვობელი, რაფალი, იანსებოვსკი, ჰალიბუგოვსკი, კოსტლი, სანჩესი.**

დინამო-ვადუცი

# მონდომება და გამარჯვებისკენ სწრაფვა



დუშან უჰრინი, გიგა გვენცაძე და დავით დილმელაშვილი

*პირველი გვერდიდან*

დუშან უჰრინი: - ძალიან რთული თამაში გველის. ბოლო სამი წლის განმავლობაში "ვადუცმა" ევროტურნირებზე პირველი ბარიერი სამჯერ გადალახა. ჰაინც ჰერმანმა "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, ჩვენს წყვილში ფავორიტი "დინამოა", მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ჩვენი შანსები მცირეაო. მან ჩვენი მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა, მაგრამ ექსკურსიაზე არ ჩამოსულან და ეს კარგად გვესმის. აღსანიშნავია ისიც, რომ უეფაში "ვადუცის" განაცხადსა და ერთ-ერთ ბოლო საკონტროლო მატჩში, გუნდის ფეხბურთელთა ნუმერაციას თუ შევადარებთ, სხვაობა აშკარაა.

**- განვლილი მოსამზადებელი პერიოდით რამდენად კმაყოფილი ხართ და საselექციო მუშაობაზე რას გვეტყოდით?**

- 14 დღის განმავლობაში გერმანიაში ვემზადებოდით. რამდენიმე ამხანაგური მატჩი გავმართეთ, მათ შორის სპლიტის "ჰაიდუკსა" და "კარლ ცაისთან" ჩატარებულ შეხვედრებს გამოვარჩევდი. გაბონის ნაკრების წევრებთან, მეკარე დიდიე ოვონოსა და ფორვარდ ჯორჯ აკირემთან, ასევე ჩეხ მცველ რომან დობეშთან გავაფორმეთ კონტრაქტები. ისინი უეფას განაცხადშიც შევიყვანეთ და "ვადუცთან" თამაშიც შეუძლიათ.

**- კამერუნელ ნახევარმცველ რაიმონ ვუკუესთან დაკავშირებით არის სიახლე?**

- მის პოზიციაზე სამი ფეხბურთელი გვყავს. რაიომონი ცუდი ფეხბურთელი ნამდვილად არაა, კიდევ ვაკვირდებით და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

**- "დინამოს" ახალი ეკიპირება ჩამოუვიდა?**

- დიახ, ეკიპირება ახალია. ჩვენი ტექნიკური სპონსორი ისევ გერმანული კომპანია "იაკოა".

**- კლუბის ხელმძღვანელობა ევროტურნირებზე რა მიზანს გისახავთ?**

- ამჟამად მხოლოდ ერთზე, ამ ბარიერის გადალახვაზე ვფიქრობთ. ჩვენთან 11 აგვისტოს იწყება ახალი სეზონი. "ვადუცს" კი ჩვენთან საპასუხო მატჩამდე ჩემპიონატში პირველი ორი ტური უკვე ნათამაშები ექნება.

**- რამდენად შეძელით გუნდის სათანადოდ დაკომპლექტება?**

- ჩვენ თითო პოზიციაზე ორი ფეხბურთელი გვყავს. ასე რომ, გუნდი კარგადაა დაკომპლექტებული. ახლა მთავარია მონდომება, შანსების გამოყენება და გამარჯვებისკენ სწრაფვა.

**- ახალი ლეგიონერებიდან ხვალ ყველა ითამაშებს?**

- ყველა თუ არა, მინიმუმ ორი მაინც.

**- საინტერესოა, რას ფიქრობ გუნდის კაპიტანი მოსამზადებელ ეტაპსა და ლიხტენშტაინელ მეტოქეზე...**

დავით დილმელაშვილი – ზამთარშიც კარგი სამზადისი გავიარეთ, მაგრამ გუნდს შეთამაშება დააკლდა და ეს გამოჩნდა. ამჟამად უფრო ნაყოფიერად გამოვიყენეთ მოსამზადებელი პერიოდი და ვფიქრობ, ახლა უკეთესი გუნდი გვყავს. რაც შეეხება მეტოქეს, მართალია ლიხტენშტაინელთა გუნდთან მოგვიწევს თამაში, მაგრამ სუსტი მოწინააღმდეგე ნამდვილად არ გვყავს. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ არა მარტო ხვალინდელი მატჩი მოვიგოთ, არამედ ორი მატჩის ჯამშიც გამარჯვებულები დავრჩეთ.

პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ "დინამო" უკვე სრული შემადგენლობით გამოჩნდა. ისინი ერთი ხანობა თვალს ადევნებდნენ "ვადუცის" ვარჯიშს. 19 საათზე კი უჰრინმა ფეხბურთელები სავარჯიშოდ გაიყვანა და 1 საათის განმავლობაში ავარჯიშა.

**დავით ცაბაძე**

ვადუცი

# მეტოქეს ჰასლერი გამოაკლდა



დინამომდე ვადუცმა ივარჯიშა

"დინამოს" პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ, "მიხეილ მესხზე" "ვადუცი" გამოჩნდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჰერმანი წვრთნას თანაშემწის გარეშე ატარებდა.

მოთელვა, სირბილი, კომბინაციები ფლანგებისა და დიაგონალური პასების გამოყენებით, სტანდარტულებზე ვარჯიში, კარში დარტყმები და ბოლოს ორკარა ნახევარ მოედანზე - აი, ასეთი იყო ლიხტენშტაინელთა ვარჯიში, რომელმაც საათს გასტანა. ვარჯიშზე დაკვირვებისას იოლად შეამჩნევდით, რომ "ვადუცი" დღეს "დინამოსთან" კონტრშეტევებით აპირებს თამაშს. სხვათა შორის, კონტრიერიშების ორგანიზება ფლანგების გამოყენებით, ლიხტენშტაინელებს ურიგოდ ნამდვილად არ გამოსდიოდათ. ისიც გამოჩნდა, რომ ძირითადი მეკარე 19 წლის **იან სომერი** იქნება, რომელიც შვეიცარიის 21-წლამდელთა ნაკრების გოლკიპერია...

მართალია, ჰაინც ჰერმანი თბილისში 18 ფეხბურთელით გვეწვია, მაგრამ "ვადუცის" გუშინდელ წვრთნაში მხოლოდ 17 ფეხბურთელი მონაწილეობდა. გუშინწინდელ ვარჯიშზე მცველი **დანიელ ჰასლერი** დაშავებულა და დღეს მისი თამაშიც საეჭვოა. გავიგეთ ისიც, რომ დიდი შანსია იტალიელი ნახევარმცველი **მიკელე პალველინო** თავდასხმაში ვიხილოთ. "ვადუცის" წლიური ბიუჯეტი 4 მილიონი ევრო ყოფილა და გუნდში მოყვარულები არ თამაშობენ, ყველა პროფესიონალი ფეხბურთელია.

წვრთნის დამთავრების შემდეგ, ჰერმანმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა **ალექსანდრე კოტორაშვილმა**, ჰაინც ჰერმანს თბილისში, 1977 წლის 23 ნოემბერს "დინამო"-"გრასჰოპერსის" მატჩის ფოტოები უსახსოვრა. მწვრთნელმა გულთბილი მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, 30 წლის წინანდელი მატჩი და ქომაგებით გადაჭედილი "დინამოს" სტადიონი დღესაც მახსოვსო. მცირედი გასაუბრების შემდეგ, ჰაინც ჰერმანმა ქართველი მასმედიელების კითხვებს უპასუხა.

**- ხვალინდელ მატჩსა და მეტოქეზე რას იტყოდით?**

- საკმაოდ რთული მატჩი გველის. თბილისის "დინამო"დიდი ისტორიის მქონე კლუბია. გუნდში ახლაც კარგი შემადგენლობაა, ძლიერი მეტოქე გვყავს. შემიძლია გითხრათ, რომ ამ წყვილში ფავორიტი "დინამოა".

**- "დინამოს" თამაში თუ ნახეთ?**

- გერმანული შეკრების ერთი მატჩი ვნახე, რომელიც თბილისელებმა 4:1 მოიგეს.

**- თბილისში 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანეთ. ამ ვარჯიშში კი მხოლოდ 17 მოთამაშე მონაწილეობდა. რატომ?**

- ამისი მიზეზი ისაა, რომ ჰასლერი დაშავდა...

**- "ვადუცში" რომ არ მუშაობდეთ, ამ წყვილიდან შემდეგ რაუნდში გასვლაზე, ფსონს რომელ გუნდზე დადებდით?**

- ზემოთაც გითხარით, რომ ამ წყვილში ფავორიტი "დინამოა".

კითხვა-პასუხი ამით მორჩა, ჰაინც ჰერმანი დაგვემშვიდობა, კოტორაშვილის ნაჩუქარი ფოტოები კიდევ ერთხელ გადაათვალიერა და როგორც ჩანს, 30 წლის წინანდელ მოგონებებში გადაეშვა. მაშინ ჰერმანის გუნდი თბილისში დამარცხდა. მის გუნდს დღესაც უნდა ვძლიოთ...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფლიგა არავის დაინდობს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, პროფესიული ფეხბურთის ლიგა რეალურად აპირებს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებისთვის წაყენებული მოთხოვნების გამკაცრებას. გუშინ ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** გვითხრა, რომ უახლოეს დღეებში პირველი ლიგის გუნდების ფინანსური მდგომარეობის ერთგვარი ლუსტრაცია ჩატარდება.

*"23 ივლისს იწურება ის ვადა, როდესაც პირველი ლიგის კლუბებმა ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო საწევრო უნდა შემოიტანონ. ეს თანხა 15 ათას ლარს შეადგენს. კატეგორიულად ვაფრთხილებთ ყველა კლუბს, ვინც თანხას დროულად არ ჩარიცხავს, ტურნირზე არ დაიშვება, არც თხოვნით და არც მათი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით. გვესმის, რომ ბევრი ცნობილი კლუბი ამჟამად გაჭირვებას განიცდის, მაგრამ ნაყრუებით საქმე ფუჭდება და ამაზე თვალის დახუჭვას აღარ ვაპირებთ.*

*ადრე მსგავსი პრეცედენტები რომ დავუშვით, ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვა. გვთხოვდნენ, რომ თანხის ნახევარს შემოიტანდნენ ჩემპიონატის დაწყებამდე, ზამთარში კი დარჩენილ ნაწილს. ამის შედეგად კი ვიღებდით იმას, რომ ჩემპიონატის მეორე ნახევარშიც არ იხდიდნენ საწევროს. ამიტომაც წინასწარ ყველას ვთხოვთ, ნუ ექნებათ ილუზია, რომ წინა წლების მოვლენები განმეორდება და საწევროს ნაწილ-ნაწილ ან დაგვიანებით შემოიტანენ.*

*25 ივლისს გამგეობის სხდომაა და, საკითხს საბოლოოდ იქ განვიხილავთ.*

*სხვათა შორის, უკვე ვესაუბრეთ რამდენიმე კლუბის წარმომადგენელს, რომლებიც გვთხოვდნენ, შეღავათი გაგვეწია, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღეს."*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# სეთურიძემ ნოიბარტი გააოცა

ქართველები "კარლ ცაისში" მალე კონტრაქტს გააფორმებენ. ამის მაუწყებელი გუშინ იენელთა ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატია უნდა იყოს.

*"გუნდის მთავარი მწვრთნელი* ***ფრანკ ნოიბარტი*** *მეკარის და ორი თავდამსხმელის შეძენას გეგმავს. ერთი ფორვარდი, ალბათ; ვიქტორ ამალი იქნება, მაგრამ მწვრთნელი, ჯერჯერობით, მის აყვანას არ ჩქარობს.*

*უფრო იმედიანად ნოიბარტს ქართველები განაწყობენ - ილია კანდელაკი და გიორგი სეთურიძე. ნოიბარტის თქმით, კანდელაკს მშვენიერი სათამაშო აზროვნება გამოარჩევს, სეთურიძეს კი სისწრაფე შეუქო.*

*ნოიბარტს ქართველი მარჯვენა მცველი მას შემდეგ მოეწონა, რაც 17 ივლისს გუნდის წევრებს მოკლე მანძილზე სირბილში ტესტი ჩაუტარა. "კარლ ცაისის" ყველაზე სწრაფ მოთამაშეებად ტობიას ვერნერი, ფელიქს ჰოლცნერი და ფლორიან ჰაიდენრაიხი ითვლებიან. 30 მეტრი 3,8 წამში მათთან ერთად სწორედ სეთურიძემ გაირბინა.*

*მწვრთნელს ისიც ახარებს, რომ სეთურიძეს სისწრაფესთან ერთად, მშვენიერი ტექნიკაც გააჩნია.*

"კარლ ცაისის" მწვრთნელის სიტყვები ადასტურებს, რომ კანდელაკს და სეთურიძეს კონტრაქტს შესთავაზებენ.

რაც შეეხება რევაზ ბარაბაძეს, ჯერ მას კიდევ აკვირდებინა. "ის კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ჯერ კიდევ სჭირდება დრო გასაზრდელად. ბარაბაძეს მოძრაობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება მართებს" - აღნიშნა "კარლ ცაისის" მწვრთნელმა.

როგორც შევიტყვეთ, გერმანელები სეთურიძის გათავისუფლების ფურცელს ელიან რუსთავის "ოლიმპიდან" და კონტრაქტსაც ამის მერე გაუფორმებენ. ჩვენმა ფეხბურთელებმა უკვე მიიღეს გერმანიაში ერთწლიანი სამუშაო ვიზა.

წუხელ "კარლ ცაისმა" ამხანაგური მატჩი გამართა "მაასტრიხტთან". სამივე ქართველმა (**ონიანი, სეთურიძე, კანდელაკი**) შეცვლაზე შევიდნენ.



გიორგი სეთურიძე

**მერაბ მამულაშვილი**

# ვაჟა რეინჯერსის წინააღმდეგ

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის "ოლიმპის" ფეხბურთელთა გარდა სხვა ქართველებმაც ითამაშეს. ჩერნოგორიაში ქვეყნის ჩემპიონმა "ზეტამ" ლიტვის "კაუნასი" 3:1 დაამარცხა. სტუმართა რიგებში **გივი კვარაცხელიამ** და **ნუკრი მანჩხავამ** ითამაშეს. მასპინძლებს ფეხბურთელი პირველივე ტაიმში გაუძევეს, მიუხედავად ამისა, მათ ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს ლიტველთა კარში და რომ არა გივი კვარაცხელიას გოლი 68-ე წუთზე, შემდეგ ეტაპზე გასული კლუბის ვინაობა ეგრევე გაირკვეოდა. კუთხური ბრაზილიელმა **ლედესმამ** ჩააწოდა, გივიმ კი თავით მასპინძელთა მცველებს აჯობა - 3:1.

**ზურაბ მენთეშაშვილის** "ვენტსპილსმა" სტუმრად 2:3 წააგო უელსის ჩემპიონ "ნიუ სეინტსთან". მენთეშაშვილმა სრულად ითამაშა და ერთხელ მისი დარტყმული უელსელმა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. სხვათა შორის, "ნიუ სეინტსმა" ისტორიაში პირველი მატჩი მოიგო ევროთასებზე. ქართველმა ნახევარმცველმა ყვითელი ბარათი მიიღო. მოლდოვის ჩემპიონმა "შერიფმა" 2:0 დაამარცხა ანდორის ჩემპიონი "რეინჯერსი". შედეგი მართლაც მოულოდნელია, მით უფრო, რომ მე-15 წუთიდან სტუმრებს გოლკიპერი გაუძევეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ 76-ე წუთზე მოედნიდან მცველი **ვაჟა თარხნიშვილი** გაიყვანეს და კიდევ ერთი ფორვარდი შეიყვანეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მოლდოველებმა მეორე გოლის გატანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge


შოთას ახალი გარემო

# აღმოსავლეთის პატარა ღამურა

"ლევანტე უნიონ დეპორტივა" - ასეთია სრული სახელი გუნდისა, სადაც **შოთა არველაძე** გადავიდა. "ლევანტე" სახელიანი გუნდი არ არის, მხოლოდ ოთხი სეზონი უთამაშია პრიმერა დივიზიონში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გუნდში თვით **იოჰან კრუიფს** გაუგორებია ბურთი - 1980-81 წლების სეზონის მეორე წრეში.

ვალენსიის "ლევანტე" 1909 წელს დაარსდა, 1942-ში კი გაერთიანდა კლუბ "ხიმნასტიკთან" და "ლევანტე უნიონ დეპორტივა" დაერქვა.

ესპანეთის უმაღლეს ლიგაში "ლევანტე" პირველად 1963 წელს ალზევდა. ზედიზედ ორი სეზონი გაძლო პრიმერა დივიზიონში და ერთხელ "ბარსელონასაც" კი მოუგო 5:1. მესამედ "ლევანტემ" 2004-05 წლებში ითამაშა პრიმერაში **ბერნდ შუსტერის** ხელმძღვანელობით, მაგრამ გერმანელმა მწვრთნელმა ლევანტელებს ვერ უშველა და გუნდი სეგუნდა დივიზიონში ჩაქვეითდა. ერთი წლის შემდეგ კი ისევ პრიმერაში დაბრუნდა.

ოცგუნდიან პრიმერაში "ლევანტემ" წლეულს მე-15 ადგილი დაიკავა და დამდეგ სეზონში გუნდის მთავარი მიზანი ალბათ ისევ ლიგაში დარჩენა იქნება. 2006-07 წლების სეზონის პირველ ეტაპზე "ლევანტეს" **ხუან რამონ ლოპეს კარო** წვრთნიდა, 2007 წლის იანვრიდან კი გუნდს **აბელ რესინო** ჩაუდგა სათავეში. ის შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე რისკიან მწვრთნელად ითვლება. დიდად გამოცდილი სპეციალისტი არ არის, 2005-06 წლებში "მურსიას" ხელმძღვანელობდა და "ლევანტე" მისთვის მეორე გუნდია. 1986-95 წლებში მადრიდის "ატლეტიკოს" მეკარე იყო და ესპანეთის ნაკრებში ორი კეპიც მოუხვეჭია.

"ლევანტეს" კარს **პაბლო კავალიერო** იცავს, ვისაც არგენტინის ნაკრებში 23 მატჩი ჩაუტარებია, ბოლო დროს კი აღარ იწვევენ ეროვნულ გუნდში. დაცვაში "ლევანტეს" სახელიანი არავინ ჰყავს, თუმცა ირლანდიელი **იან ჰარტის** გამორჩევა ალბათ ღირს. მას ნაკრებში 64-ჯერ უთამაშია. ნახევარდაცვაში "ლევანტეს" იტალიელი **დამიანო ტომაზი** ჰყავს. კარიერის საუკეთესო პერიოდში ის "რომასა" და იტალიის ნაკრებში თამაშობდა. ტომაზის გვერდს **ლორან რობერი** უმშვენებს, "ნიუკასლის", "ბენფიკისა" და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი შუახაზელი.

თავდასხმაში "ლევანტეს" ყველაზე თვალსაჩინო სახე 32 წლის **სალვა ბალესტა** გახლავთ. ის წინა სეზონის მეორე წრეში მივიდა გუნდში და 11 მატჩში 4 გოლი გაიტანა. სწორედ მისი კინკილა გოლით მოუგო "ლევანტემ" მადრიდის "რეალს".

დამდეგი სეზონისთვის ვალენსიურ კლუბს არველაძის გარდა კიდევ ორი ფორვარდი დაემატა - ესპანური წარმოშობის შვეიცარიელი **ალექსანდრე ჟეიხო პაზოსი** და ლონდონის "არსენალიდან" იჯარით აყვანილი 18 წლის მექსიკელი **კარლოს ველა**, რომელმაც წინა სეზონი სეგუნდა დივიზიონის "სალამანკაში" ჩაატარა.

"ლევანტეს" თანაქალაქელ ბობოლა "ვალენსიასთან" ქიშპი არ აქვს. ორივე გუნდს "ღამურებს" ეძახიან და "ლევანტეს" ლოგოზეც ღამურაა გამოსახული. 800 ათასიან ქალაქში უფრო მეტი გულშემატკივარი "ვალენსიას" ჰყავს, თუმცა "ლევანტეც" როდია ათვალწუნებული - საშინაო მატჩებზე "ლევანტეს" სტადიონი თითქმის სულ სავსეა - არენა 25 000 კაცს იტევს.

ლევანტე ესპანურად აღმოსავლეთს ნიშნავს. ვალენსია აღმოსავლეთ ესპანეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქია და კლუბის სახელწოდებაც აქედან მოდის. ვალენსია კი ლათინურად ძლიერებას ნიშნავს და ეს ქალაქი შუასაუკუნოვანი არქიტექტურითა და ღამის კლუბებით ერთობ მომნუსხველია ტურისტებისთვის.

**დავით თავართქილაძე**

# ასათიანი თავდასხმაში

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ **მალხაზ ასათიანს** "ლოკომოტივში" მორიგი ექსპერიმენტი მოუწყვეს - **ანატოლი ბიშოვეცმა** ის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში თავდასხმაში გაამწესა. "ლოკომოტივმა" სტუმრად "ხიმკი" დაამარცხა ბოლო წუთზე **როდოლფოს** მიერ გატანილი გოლის წყალობით - 2:1. ანგარიში მოსკოველებმა ასათიანის საგოლე პასით გახსნეს. 33-ე წუთზე ის **ბერეზოვსკისთან** პირისპირ გავიდა, თუმცა დარტყმის ნაცვლად კარის წინ ეულად მყოფ **ტრაორეს** დაუგორა. ქართველი ფეხბურთელი **სიჩოვმა** 61-ე წუთზე შეცვალა. თამაშის შემდეგ ბიშოვეცმა ასათიანის გაფორვარდება სიჩოვის მაღალი ტემპერატურით ახსნა: *"სიჩოვს 90 წუთი თამაში არ შეეძლო, ამიტომაც მეორე ფორვარდად ასათიანი გავამწესე. ვიცი, რომ მალხაზს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია ამ პოზიციაზე. ვერ გეტყვით, გააგრძელებს, თუ არა ის ფორვარდად თამაშს, ეს მეტოქის სიძლიერეზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ერთი ცხადია - მას პოზიციის შეცვლა მოეწონა".* "ლოკომოტივი" 23 ქულით მეხუთე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ციმაკურიძე ილიჩევეციდან წამოვიდა

მარიუპოლის "ილიჩევეცი" უკრაინის უმაღლესი ლიგიდან გავარდა და საკადრო ცვლილებებიც დაიწყო. გუნდი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **გიორგი ციმაურიძემ** დატოვა, მაგრამ ეს სხვა მიზეზით მომხდარა.

უკრაინული გაზეთი "კომანდა" ამ ამბავს ამგვარად ხსნის: *"მარიუპოლის "ილიჩევეცი" ანთალიაში ემზადებოდა. გუნდის ხელმძღვანელობამ უარი თქვა 23 წლის მცველ გიორგი ციმაკურიძეზე. თუმცა ხმები აგორდა, თითქოს თავად მოთამაშემ აღარ ისურვა გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება. საერთოდ, ცივილიზებულ ქვეყანაში, ასეთი საქციელის გამო ფეხბურთელებს დუბლებში არ უშვებენ, მით უფრო, რომ გიორგი პირველ წრეში საკმად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. კონტრაქტზე უარმა ვითარება შეცვალა და ციმაკურიძე დასრულებული ჩემპიონატის მეორე ნახევარში შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. ახლა კი მასზე უარი თქვეს. სხვათა შორის, იმავე მიზეზით "ილიჩევეცმა" მეკარეც გაუშვა და შეკრებაზე კურიოზულ ვითარებაში აღმოჩნდა - მხოლოდ ერთი მეკარე წაიყვანა და სპარინგებში დონეცკის "მეტალურგის" მეკარეებს დიშლენკოვიჩისა და ვორობიოვის დამატება დასჭირდა."*

გიორგიმ შარშან ზაფხულში მარიუპოლელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც "ილიჩევეცმა" ცალმხრივი გადაწყვეტილებით გაწყვიტა.

სხვათა შორის, ციმაკურიძის მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა ზაპოროჟიეს "მეტალურგის" თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძეც** - ახალ კონტრაქტზე უარი თქვა და დუბლებში გადაიყვანეს. გუნდის მთავარ მწვრთნელს, **ანატოლი ჩანცევს** მოდებაძის ასავალ-დასავალი რომ ჰკითხეს, არაადეკვატური პასუხი გასცა: *"მოდებაძე გუნდისთვის სასურველი ფიგურაა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოს კითხვები მის დისციპლინასთან დაკავშირებით გაუჩნდა. ახლა, როგორც იტყვიან, ყველაფერი მის ხელშია."*

**მერაბ მამულაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ტევესი პრობლემატური გახდა

## არგენტინელი მანჩესტერში არის და არც არის

გრძელდება "მანჩესტერ იუნაიტედში" არგენტინელი **კარლოს ტევესის** ტრანსფერის გაუთავებელი ისტორია.

ფორვარდი მანჩესტერში სამშაბათს ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ტევესის ამჟამინდელი კლუბის, "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობამ ასეთი განცხადება გააკეთა: *"კარლოს ტევესთან დაკავშირებით კლუბებს შორის არანაირი შეთანხმება არ არსებობს".*

შესაბამისად, სამედიცინო შემოწმება არ შედგა - არგენტინელ ფორვარდს ამის უფლება "ჩაქუჩებმა" არ მისცეს. საქმე ისაა, რომ პრემიერლიგაში არსებობს წესი, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელი ვერ გაივლის სამედიცინო შემოწმებას, თუ მისი მოქმედი კლუბი ამის ნებას არ დართავს.

ლონდონური დელეგაცია, რომელსაც "ვესტ ჰემის" წარმომადგენელი, **ეგერტ მაგნუსონი** ხელმძღვანელობდა, მანჩესტერში ჩავიდა და "იუნაიტედის" წარმომადგენლებს, მათ შორის ინგლისის ჩემპიონის ადვოკატ **მორის უოტკინსონს** შეხვდა.

მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, რაც უსიამოვნო სიურპრიზად დარჩა 23 წლის თავდამსხმელისთვის, რომელიც ამჟამად სრულ გაურკვევლობაში იმყოფება. აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, "ვესტ ჰემი" და "მანჩესტერი" კონსენსუსამდე ვერ მიდიან ტევესის ტრანსფერთან დაკავშირებით.

"ვესტ ჰემის" წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკებების ფაქტი. *"ჩვენ შევხვდით "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას, მაგრამ საბოლოო შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ"*, - ამბობს მაგნუსონი.

შეგახსენებთ, რომ ტევესს კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს "ვესტ ჰემთან".



ტევესი მანჩესტერის აეროპორტში



ვაგნერ ლავი და ჟულიო ბაპტიშტა

სავარაუდო ტრანსფერი

# ნადირობა ბრაზილიელებზე

## მილანს კოპას ტრიუმფატორები მოუნდა

კოპა ამერიკაზე ბრაზილიის ნაკრების ტრიუმფის შემდეგ, "მილანი" ამ გუნდის ფეხბურთელებით დაინტერესდა.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, იტალიურმა კლუბმა პენტაკამპეონების ფორვარდის, **ვაგნერ ლავის** გადაბირება მოისურვა. როგორც გაზეთი წერს, იტალიელი სელექციონერები მოხიბლულნი დარჩნენ ბრაზილიელის თამაშით, მისი მობილურობით და რაც მთავარია, სათამაშო განწყობით. მოგეხსენებათ, ვაგნერ ლავი ამჟამად მოსკოვის ცსკა-ს რიგებში ირიცხება.

თუმცა "მილანი" მხოლოდ ვაგნერით დაკმაყოფილებას არ აპირებს და სასურველ ფეხბურთელთა სიაში **ჟულიო ბაპტიშტაც** შეიყვანა. ამ ბრაზილიელმა, რომელმაც არგენტინას ფინალში ულამაზესი გოლი გაუტანა, ბოლო სეზონი არენდის წესით "არსენალში" გაატარა, ისე კი, მადრიდის "რეალის" საკუთრება გახლავთ.

იტალიური პრესა წერს, რომ თავად ბაპტიშტასაც ძალიან სურს "სან სიროზე" გადასვლა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას **კაკას** გვერდით თამაშის საშუალება ექნება. მაგრამ ამ ტრანსფერის განხორციელება არც ისე მარტივი იქნება. "რეალი" ბრაზილიელში 20 მილიონ ევროს ითხოვს, ანუ ზუსტად იმ თანხას, რომელიც თავის დროზე ამ ნახევარმცველისთვის "სევილიას" გადაუხადა.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ჟულიო ბაპტიშტას "ფენერბაჰჩე" და "გალათასარაიც" ეპატიჟებიან, მაგრამ ბრაზილიელს თურქული ვარიანტი არ ხიბლავს, ამიტომაც მას ესპანეთში, ინგლისში ან იტალიაში ვიხილავთ.

აქვე შეგახსენებთ იმას, რომ ვაგნერ ლავამდე და ჟულიო ბაპტიშტამდე, "მილანის" ხელმძღვანელობამ **სამუელ ეტო'ოს, დიდიე დროგბას, ალეშანდრე პატოს, რონალდინიოსა** და **ანდრეი შევჩენკოსადმი** ინტერესი დაადასტურა.

ბეტისი

# კუპერი ახალბედებით კმაყოფილია

## ბეტისმა ტრანსფერებში 20 მილიონი ევრო დახარჯა

როგორც ცნობილია, მომავალი სეზონიდან "ბეტისს" ახალი დამრიგებელი ეყოლება. ეს გახლავთ სახელგანთქმული არგენტინელი მწვრთნელი **ექტორ კუპერი**.

"მალიორკასა" და "ვალენსიას" ყოფილმა დამრიგებელმა ამ კვირას გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი სევილიურ კლუბთან. შესაბამისად, მას მონაწილეობა არ მიუღია "ბეტისის" სასელექციო მუშაობაში. თუმცა კუპერმა კმაყოფილი დარჩა ახალი კლუბის მიერ განხორციელებული ტრანსფერებით და განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელებით მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეიძლება.

შეგახსენებთ, რომ "ბეტისმა" ერთმანეთის მიყოლებით ოთხი ფეხბურთელი შეიძინა. "ბენფიკადან" პორტუგალიელი მეკარე **რიკარდუ**, "ლივერპულიდან" ჩილელი **მარკ გონსალესი**, "ლევერკუზენიდან" ხორვატი **მარკო ბაბიჩი** და "ესტუდიანტესიდან" არგენტინელი **მარიანო პავონი**.

*"ამ ახალბედებით კმაყოფილი დავრჩი. რიკარდო პორტუგალიის ნაკრების მეკარეა და მას უდიდესი გამოცდილება გააჩნია, პავონი - გამოცდილი და შედეგიანი ფეხბურთელია, რაც შეეხება გონსალესს, მის პლიუსებზე ჩილეს ნაკრებსა და უდიდეს კლუბში თამაში მეტყველებს"*, - ამბობს არგენტინელი სპეციალისტი.

როგორც "ბეტისის" პრეზიდენტი **მანუელ როისი** აცხადებს, კლუბმა ამ ოთხ ფეხბურთელში, ჯამში 20 მილიონი ევრო გადაიხადა. მათგან ყველაზე ძვირი პავონი დაჯდა - 7 მილიონი ევრო, სევილიელებმა 6 მილიონი ევრო გადაიხადეს გონსალესში და შესაბამისად 4 და 2.5 მილიონი რიკარდოსა და ბაბიჩში.




ექტორ კუპერი

თუმცა, "ბეტისი" მხოლოდ ფეხბურთელების შეძენით არ არის დაკავებული. სავარაუდოდ, ამ ზაფხულს სევილიელთა რიგებს დატოვებს ნახევარმცველი **იოჰან ფოგელი**, რომლითაც "ევერტონია" დაინტერესებული. ლივერპულური კლუბის პრეზიდენტმა **კეიტ ვაინესმა** განაცხადა, რომ შვეიცარიის ნაკრების კაპიტანი "ევერტონთან" კონტრაქტს უახლოეს დღეებში მოაწერს ხელს.

ბარსელონა

# ლაპორტა რონალდინიოს აუმხედრდა?

გამორიცხული არ არის, "ბარსელონაში" არსებული იერარქია შეიცვალოს. მომავალი სეზონისთვის მზადების დაწყების წინ **ფრანკ რიიკაარდი** შეგირდებს შეკრიბავს და სამი კაპიტნის არჩევაზე დაელაპარაკება. აქამდე ამ პროცესში ექსკლუზიურად მოთამაშეები და მწვრთნელი მონაწილეობდნენ, მაგრამ ახლა ამბობენ, საქმეში პირადად **ხოან ლაპორტა** ჩაერთვებაო. ბოროტი ენების თქმით, პრეზიდენტს **რონალდინიოსთვის** მესამე კაპიტნის წოდების ჩამორთმევა აქვს გადაწყვეტილი. სენიორ ლაპორტა თურმე, გაუჩოს შარშანდელი თამაშითა და საქმისადმი არცთუ პროფესიული დამოკიდებულებით მეტისმეტად აღშფოთებულია.

### ინტერმა ჩინეთი გაანადგურა

მილანის "ინტერმა" ახალი სეზონის მზადების ციკლში მორიგი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. იტალიის ჩემპიონი ჩინეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და 3:0 დაამარცხა მეტოქე.

პირველ ტაიმში იტალიელთა მხრიდან თავი გამოიჩინა არგენტინელმა **ხულიო კრუსმა** - მან პენალტით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში კი, გოლები გაიტანეს კრუსის თანამემამულე **სანტიაგო სოლარიმ** და ბრაზილიელმა **ადრიანომ**.

"ინტერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ტოლდო (58. ორლანდონი), ფილიპინი, ფატიჩი, მატერაცი (46. სამუელი), მაქსველი (46. პედრელი), მარუფი, ბოლცონი, ფილკორი (78. სლავკოვსკი), სტანკოვიჩი (46. სოლარი), კრუსი (46. ადრიანო), სუასო (46. ბალოტელი).

### აიალა ნაკრებს დაემშვიდობა

კოპა ამერიკას შემდეგ, სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **რობერტო ფაბიან აიალამ**.

*"ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი, კოპა ამერიკას ფინალში ბრაზილიასთან მარცხი არ ყოფილა. ნაკრებიდან წასვლა ჯერ კიდევ ამ ტურნირის დაწყებამდე მქონდა გადაწყვეტილი"*, - განაცხადა ცენტრალურმა მცველმა, რომელსაც არგენტინის ნაკრებში 115 მატჩი აქვს ჩატარებული.

შეგახსენებთ, რომ კოპას ფინალში აიალას გუნდმა 0:3 წააგო ბრაზილიასთან.

ახლა, აიალა მთლიანად საკლუბო კარიერაზე გადაერთვება. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ, მან "სარაგოსასთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### ტეიშეირა 2012 წლამდე

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა **რიკარდო ტეიშეირამ**.

ეს პიროვნება ბრაზილიურ ფეხბურთს 2012 წლამდე უხელმძღვანელებს. ტეიშეირას შანსი აქვს, თავისი მმართველობა 2015 წლამდეც გაიხანგრძლივოს, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბრაზილია 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მიიღებს.

### ჟორჟე ანდრადე ტურინელია

ტურინის "იუვენტუსმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონში ამ გუნდში პორტუგალიელი ცენტრალური მცველი **ჟორჟე ანდრადე** ითამაშებს.

ამ ფეხბურთელში ტურინულმა კლუბმა 6.7 მილიონი ფუნტი გადაუხადა ლა კორუნიას "დეპორტივოს". "იუვემ" პორტუგალიელ მცველს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

### სიტიში ჟოვანი მივიდა

"მანჩესტერ სიტიში" სვენ გორან ერიქსონის მისვლის შემდეგ, კლუბმა მესამე ტრანსფერი განახორციელა.

ამჯერად, ინგლისელებმა 27 წლის ბრაზილიელი ფორვარდი **ჟოვანი** დაიმატეს. "სქაი სპორტსის" ცნობით, ამ ფეხბურთელთან "სიტიმ" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ადრე საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ჟოვანი "პორტსმუთში" აპირებდა გადასვლას და იქ სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა, მაგრამ ეს ცრუ ინფორმაცია აღმოჩნდა.

ადრე ჟოვანი "ბარსელონასა" და "ბენფიკას" ღირსებას იცავდა.

### ცსკა კაპელოსა და დუნგას უმიზნებს

უცნაური ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა tuttomercatoweb-მა. ამ ინტერნეტ-გამოცემის ინფორმაციით, მოსკოვის ცსკა-ს ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის, **ვალერი გაზაევის** სავარაუდო შემცვლელად **ფაბიო კაპელოს** ან **კარლოს დუნგას** კანდიდატურას განიხილავს.

ამ ცნობის უცნაურობა ის არის, რომ ორი დღის წინათ, იტალიელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ მან უარით გაისტუმრა მოსკოვის "ლოკომოტივისა" და კიევის "დინამოს" წარმომადგენლები და ნაკლებად სავარაუდოა, არმიელთა გაწვრთნა მოისურვოს. რაც შეეხება დუნგას, კოპა ამერიკაზე ტრიუმფის შემდეგ, ბრაზილიელი ნაკრებში მუშაობის გაგრძელებასა და ამ გუნდის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადებას აპირებს.

### ესტონელთა ახალი უცხოელი

ესტონეთის ნაკრებს თავისი არსებობის ისტორიაში მეოთხე უცხოელი მწვრთნელი ჰყავს. გუშინ, ეს გუნდი 59 წლის დანიელმა სპეციალისტმა **ვიგო იენსენმა** ჩაიბარა, რომელიც ამ წლის ბოლომდე იმუშავებს ბალტიისპირულ გუნდში.

ადრე იენსენი დანიისა და შვედეთის კლუბებში მუშაობდა, გასულ ოქტომბერს "სილკებორგის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს, ხოლო ბოლო მომენტამდე "ესბერგის" მთავარი სკაუტის ფუნქციებს ასრულებდა.

*"საინტერესო და ამავდროულად, რთული სამუშაო მივიღე. მომდევნო შესარჩევ მატჩამდე თვეზე ოდნავ მეტია დარჩენილი, არადა, ფედერაციის ხელმძღვანელობას შედეგი უნდა ვაჩვენო"*, - ამბობს იენსენი.

აქამდე, ესტონეთის ნაკრებში სამ უცხოელ სპეციალისტს უმუშავია. პირველი იყო ისლანდიელი **ტეიტურ ტორდარსონი**, შემდეგ კი, ჰოლანდიელები - **არნო პაიპერსი** და **იელე გუსი**. ეს უკანასკნელი სამი კვირის წინათ დაითხოვეს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან.

### რეალი ორმა ფეხბურთელმა დატოვა

მადრიდის "რეალმა" 30 წლის ნახევარმცველი **პაბლო გარსია** "მურსიაში" არენდის წესით გაუშვა. ურუგვაელი პრიმერაში აღზევებული გუნდის რიგებში ერთ წელიწადს ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ პაბლო გარსიამ გასულ სეზონში, "სელტას" შემადგენლობაშიც არენდით ითამაშა.

გუშინვე გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ "რეალი" კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა. "სამეფო კლუბის" მცველმა **ფრანსისკო პავონმა** 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა "სარაგოსასთან".

აღსანიშნავია, რომ 27 წლის ფეხბურთელი, რომელსაც "რეალის" რიგებში დებიუტი 21 წლის ასაკში ჰქონდა, ესპანეთის შარშანდელ ჩემპიონატში ერთხელაც არ გამოჩენილა მოედანზე.

### ასტონ ვილამ ჰეირვუდი შეიძინა

"ასტონ ვილამ" საბოლოოდ დაადასტურა, რომ ახალ სეზონში ბირმინგემული კლუბის ღირსებას "ვესტ ჰემის" ფორვარდი **მარლონ ჰეირვუდი** დაიცავს.

ეს თავდამსხმელი "ვილაში" სამი წელიწადი ითამაშებს, თუმცა პრესისთვის უცნობი დარჩა, რა თანხა მიიღო "ვესტ ჰემმა" ჰეირვუდის სანაცვლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაფაელ ვან დერ ვაარტი

ჰამბურგი

# ვან დერ ვაარტი წასვლაზე ალაპარაკდა

## წელიწადიც და რაფაელის ჰამბურგული ოდისეა დასრულდება...

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ვწერდით, რომ დიდი შანსია, მომავალი სეზონი **რაფაელ ვან დერ ვაარტისთვის** "ჰამბურგში"უკანასკნელი აღმოჩნდეს. მაშინ მისმა თანაგუნდელმა და თანამემამულემ, **იორის მატიისენმა** განაცხადა, თუ ვან დერ ვაარტი სეზონს მაღალ დონეზე ჩაატარებს, რაშიც ეჭვი არ მეპარება და თავს ევროპის ჩემპიონატზეც გამოიჩენს, ცხადია, რომ რომელიმე სუპერგრანდში გადავაო. მას მერე გერმანულ პრესაში სპეკულაციები არ წყდებოდა. გუშინ გაცნობეთ, რომ HSV-ს ბოსმა **დიტმარ ბაიერსდორფერმა** თქვა, რაფაელის შენარჩუნებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთო, მაგრამ ფეხბურთელის მიერ გუშინ გაკეთებულმა განცხადებამ ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსებს ცივი შხაპი მიაღებინა.

*"დიდი შანსია, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ, "ჰამბურგი" დავტოვო და ვფიქრობ, ამის გამო აქ არავინ დამძრახავს. ამ გუნდთან მიმართებაში ყოველთვის გულახდილი ვიყავი, რადგან "ჰამბურგი" ძალიან მიყვარს. ახლაც არ მინდა, რომ რაიმე დავმალო,"* - განუცხადა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა "შპორტ-ბილდს".

შეგახსენებთ, რომ რაფაელის კონტრაქტს ვადა 2010 წლამდე აქვს. 2009 წელს მას გუნდიდან წასვლა 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. შესაბამისად, გუნდის ერთადერთი შანსი, რომ თავის ლიდერში სოლიდური თანხა მიიღოს, მისი გაისად გაყიდვაა. ვან დერ ვაარტის ფასი სატრანსფერო ბაზარზე 20 მილიონი ევროა. ბოლოს რაფაელის ხელში ჩასაგდებად ყველაზე მეტად "იუვენტუსი" აქტიურობდა (ტურინში მას **პაველ ნედვედის** შემცვლელად მოიაზრებენ). ისე კი, ცნობილია, რომ თვითონ 24 წლის ნახევარმცველს ესპანეთში თამაში სურს - ვან დერ ვაარტის საოცნებო გუნდი მადრიდის "რეალია". "სამეფო გუნდის" გარდა, "ბარსელონის", "ვალენსიისა" და "სევილიის" მაისურსაც სიამოვნებით მოირგებდა. ფაქტი ერთია: ვან დერ ვაარტის მომავალ გუნდს უმაღლესი მიზნები უნდა ამოძრავებდეს.

### ბოლო 7 დღის ტრანსფერები

| ფეხბურთელი | ყოფილი კლუბი | ახალი კლუბი |
|---|---|---|
| ჯოვანი | კრუზეირო | მანჩესტერ სიტი |
| მოლინერო | ატლეტიკო | მალიორკა |
| ნეგრედო | რეალი | ალმერია |
| ეტუჰუ | ნორვიჩი | სანდერლენდი |
| ჰეირვუდი | ვესტ ჰემი | ასტონ ვილა |
| ჟიული | ბარსელონა | რომა |
| ევერტონი | სარაგოსა | შტუტგარტი |
| პაბლო გარსია | რეალი | მურსია |
| რიჩარდსონი | მანჩესტერ იუნ | სანდერლენდი |
| მარიანო გონსალესი | პალერმო | პორტუ |
| სორენტინო | აეკ | რეკრეატივო |
| მარტა | დენ ჰააგი | ვილემი |
| აიალა | ვილიარეალი | სარაგოსა |
| კიკე ალვარესი | ვილიარეალი | რეკრეატივო |
| მანუ | სპორტინგი | დეპორტივო |
| კონჩესკი | ვესტ ჰემი | ფულჰემი |
| ჰილი | ლიდსი | ფულჰემი |
| ჩოპრა | კარდიფი | სანდერლენდი |
| მონტელა | რომა | სამპდორია |
| დუალა | სპორტინგი | სტ. ეტიენი |
| მატუიდი | ტრუა | სტ. ეტიენი |
| ოტკოერი | სტ. ეტიენი | ლორიანი |
| ლერუა | სოშო | რენი |
| ონონი | სტ. ეტიენი | ნიცა |
| აიტორ ოსიო | სევილია | ბილბაო |
| ლუკარელი | ლივორნო | შახტარი |
| სავიოლა | ბარსელონა | რეალი |
| ინიგო ველესი | ეიბარი | მურსია |
| რეგეირო | ვალენსია | მურსია |
| კოზენიო | სევილია | ალმერია |
| რაულ ბრავო | რეალი | ოლიმპიაკოსი |
| იანჩიკი | ლეგია | ცსკა |
| მაკალოხი | ვიგანი | რეინჯერსი |
| სანია | ოსერი | არსენალი |
| ბენაიოუნი | ვესტ ჰემი | ლივერპული |
| ბულარუზი | ჩელსი | სევილია |
| ოკაკა | რომა | მოდენა |
| დე ლუჩია | პარმა | ლივორნო |
| მორონე | ლივორნო | პარმა |
| ბუდიანსკი | ასკოლი | უდინეზე |
| ბერდი | საუთჰემპტონი | ფულჰემი |
| დუდეკი | ლივერპული | რეალი |
| უტაკა | რენი | პორტსმუთი |
| მატეო | ფიორენტინა | ტრევიზო |
| დო პრადო | ფიორენტინა | ტრევიზო |
| ტაიბი | ტორინო | ასკოლი |
| რაიკოვიჩი | ჩელსი | ეინდჰოვენი |
| საეტერენსი | ბრანი | ოდენსე |
| ფოჯა | ლაციო | კალიარი |
| ნაჯენტი | პრესტონი | პორტსმუთი |
| ბაბელი | აიაქსი | ლივერპული |
| პერესი | აიაქსი | ეინდჰოვენი |
| ხუანმა | რეკრატივო | ლევანტე |

სკანდალი

# პენანტი ისევ ციხეშია

## ლივერპულის ნახევარმცველს კინაღამ მეგობარი გოგონა შემოელახა

ინგლისური ფეხბურთის ცნობილი ხულიგანი და ბუნტისთავი, **ჯერმეინ პენანტი** მორიგ სკანდალში გაეხვა - ის კვლავ ინგლისური პოლიციის ხელში აღმოჩნდა. ამჯერად, "ლივერპულის" ნახევარმცველი თავისი მეგობარი გოგონას მიმართ გრძნობების ზედმეტად ემოციურად გამოხატვისთვის იქნა დაპატიმრებული.

ეს ოჯახური ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთ ბარში ნაქეიფარმა პენანტმა შინ დაიგვიანა, არადა, მისმა ფოტომოდელმა მეგობარმა **ემი გროუვმა** მას გემრიელი ვახშამი მოუმზადა და იმედი ჰქონდა, რომ მისი რჩეული შინ დროულად დაბრუნდებოდა. საბოლოოდ, ყველაფერი ხმამაღალ საუბარსა და საქმის გარჩევაში გადაიზარდა, ცოტა ხანში კი, ლივერპულელის სახლში პოლიცია გამოცხადდა.

*"წარმოდგენა არ მაქვს, საიდანაც გაჩნდა ჩვენს სახლში პოლიცია. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ერთ-ერთი მეზობლის სატელეფონო ზარი იყო. არადა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ვინაიდან მე და ჯერმეინი ხშირად ვხმაურობთ ხოლმე. ეს წამიერი ჩხუბი იყო, რის შემდეგაც ერთმანეთს ვაკოცეთ და შევრიგდით. ეს არის და ეს"*, - განაცხადა გაოცებულმა ემიმ.

მაგრამ პოლიციელები მტკიცედ იდგნენ თავისაზე. მათ განაცხადეს, რომ ფეხბურთელი საუბრისას ისეთ ჟესტებსა და სიტყვებს იყენებდა, რომ ამას შესაძლოა, სავალალო შედეგები გამოეწვია.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, პენანტი ციხეში იჯდა იმის გამო, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა მანქანას.



ემი გროუვი

## მოლინერო მალიორკაში წავიდა

უახლოეს ხანში "მალიორკა" კონტრაქტს გააფორმებს მადრიდის "ატლეტიკოს" 21 წლის მცველ **ფრანსისკო მოლინეროსთან**. ამ უკანასკნელმა უკვე გაიარა კუნძულელთა რიგებში სამედიცინო შემოწმება.

მოლინერო "ატლეტიკოს" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. ის მადრიდული კლუბის მთავარ გუნდში 2004-05 წლებში გამოჩნდა, შარშან კი, არენდით "მალაგაში" ითამაშა და ჩემპიონატში 16 მატჩი ჩაატარა.

## მესისა და მილიტოს შვებულება მისცეს

"ბარსელონას" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ კლუბის არგენტინელი ლეგიონერები - **გაბრიელ მილიტო და ლეონელ მესი** გუნდის წინასასეზონო მზადების პირველ ნაწილს გამოტოვებენ.

ეს ორი ფეხბურთელი კოპა ამერიკაზე თამაშობდა და ახლა საფუძვლიან დასვენებას საჭიროებს. ამიტომაც, მესი და მილიტო კატალონიურ კლუბს შოტლანდიურ და აზიურ ტურნეში არ გაჰყვებიან და "ბარსელონას" 7 აგვისტოს შეუერთდებიან.

## ორტეგამ ლოთობაზე იმკურნალა

ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის, **არიელ ორტეგას** საფეხბურთო კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. "პარმასა" და "სამპდორიას" ექს-ნახევარმცველი ჩილეს ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში ალკოჰოლისადმი მიდრეკილების საწინააღმდეგო რეაბილიტაციის სამკვირიან კურსს გადიოდა და კლინიკიდან გუშინ გაეწერა.

33 წლის ფეხბურთელი არგენტინაში დაბრუნდა და "რივერ პლეიტის" სათადარიგო ფეხბურთელებს შეუერთდა. ეს ის მოთამაშეები არიან, რომელიც "რივერის" ხელმძღვანელობამ კორეაში არ იახლა, სადაც არგენტინული კლუბი მშვიდობის თასის გათამაშებაში მონაწილეობს.

## ტოტის ულტიმატუმი

"რომას" ლიდერი **ფრანჩესკო ტოტი** იტალიის მოთამაშეთა ასოციაციის დატოვებით იმუქრება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სერია A-ს მორიგი გათამაშება არა 26 აგვისტოს, როგორც ამას ფეხბურთელები ითხოვდნენ, არამედ 19 აგვისტოს დაიწყება.

*"ჩვენ გვინდოდა, რომ ჩემპიონატი ერთი კვირით გვიან დაწყებულიყო, რათა იტალიის ნაკრებს მომზადებისთვის მეტი დრო ჰქონოდა და ჩვენ, ფეხბურთელებს, შობაზე ერთი კვირით მეტი დასვენება გვქონოდა. მათ, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, საერთოდ არ გაითვალისწინეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, დონადონის აზრი. საჯაროდ ვაცხადებ - ან ისინი ჩვენს მოთხოვნას გაითვალისწინებენ, ან მე ასოციაციას დავტოვებ"*, - იმუქრება ტოტი..

## გოლი 577 დღის შემდეგ

"ნიუკასლის" ფორვარდმა **მაიკლ ოუენმა**, 577-დღიანი (!) შესვენების შემდეგ ამ გუნდის რიგებში პირველი გოლი გაიტანა. ეს მოხდა "ჰარტპულთან" ამხანაგური მატჩის დროს, რომელიც **სემ ელერდაისის** გუნდმა 3:1 მოიგო.

გამარჯვებულთა მხრიდან, ოუენის გარდა **შოლა ამეობიმ** გამოიჩინა თავი, რომელმაც დუბლი შეასრულა. "ნიუკასლის" რიგებში დებიუტი ჰქონდათ **ჯოი ბარტონსა** და **დავიდ როზენალს**.

## მიდოს ბირმინგემი ურჩევნია

"ტოტენჰემის" ეგვიპტელი ფორვარდი **ჰასან მიდო** "ბირმინგემში" გადადის. მას შემდეგ, რაც "ტოტენჰემმა" მეხუთე ფორვარდი, **დარენ ბენტი** დაიმატა, მიდოს ძირითადში მოხვედრის შანსი თითქმის ნულის ტოლი გახდა. ამიტომაც, ეგვიპტელი "ბირმინგემის" ვარიანტით კმაყოფილია.

*"ინგლისში დარჩენა მინდა და ამიტომაც "ბირმინგემის" წინადადება საუკეთესოა. ამ გუნდში არენდის წესით ვაპირებ გადასვლას და თუ ის წლის ბოლოს პრემიერლიგას არ დატოვებს, მასთან კონტრაქტსაც მოვაწერ ხელს"*, - ამბობს მიდო.

## არსენალელები ესპანეთში მიდიან

"არსენალის" ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი - **ფრან მერიდა** და **კარლოს ველა** არენდის წესით ესპანეთში სათამაშოდ მიემგზავრებიან. 17 წლის მერიდა, რომელსაც თამაშის მანერით უკვე დღეს ადარებენ **სესკ ფაბრეგასს**, "ატლეტიკოს" რიგებში ითამაშებს. რაც შეეხება 18 წლის მექსიკელ ფორვარდ ველას, მან სამ კლუბს - "ალმერიას", "ოსასუნასა" და "ლევანტეს" შორის უნდა გააკეთოს არჩევანი.

აღსანიშნავია, რომ "არსენალი" მექსიკელ ფორვარდს მესამედ უშვებს არენდით - მანამდე ველამ "სელტასა" და "სალამანკაში" ითამაშა.

## ჩელსის მეორე გამარჯვება

ამერიკულ ტურნეში მეორე მატჩი გამართა ლონდონის "ჩელსიმ", რომელმაც ამჯერადაც მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მეტოქე. მექსიკური "ამერიკას" შემდეგ, **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა კორეის "სუვონს" სძლიეს - 1:0. გამარჯვების გოლი **დიდიე დროგბამ** მე-80 წუთზე გაიტანა.

"ჩელსიმ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**პირველი ტაიმი:** ჩეხი, პაულუ ფერეირა, ტერი, ჰათჩინსონი, ჯონსონი, სიდუელი, ესიენი, ლემპარდი, ჯო კოული, შევჩენკო, კალუ.

**მეორე ტაიმი:** ილარიუ, პაულუ ფერეირა (69. სინკლერი), ბენ ჰაიმი, რიკარდო კარვალიო, დიარა, მაკელელე, ობი მიკელი, რაიტ-ფილიპსი, რობენი, დროგბა, მალუდა.

■ ■ ■

გუშინვე, ამხანაგური მატჩი გამართა **დევიდ ბექჰემის** "ლოს ანჯელეს გელაქსიმ". ის მექსიკის "ტიგრესთან" განადგურდა. ამერიკელთა კარში გოლები **ფონსეკამ, გაიტანმა** და **ვილიალობოსმა** გაიტანეს.

ამ შეხვედრაში ბექჰემს მონაწილეობა არ მიუღია.

## ჰანზას ორი ახალი მცველი

ბუნდესლიგაში აღზევებულმა "ჰანზამ" ორი ახალი მცველი შეიძინა. პირველი მათგანი ექს-ბოხუმელი **ბენიამინ ლენზე** გახლავთ, მეორე კი ამერიკელი **ჰით პირსი**, რომელიც დანიურ "ნორდსიაელანდში" ასპარეზობდა. როსტოკელთა მთავარი მწვრთნელი **ფრანკ პაგელსდორფი** განხორციელებული ტრანსფერებით კმაყოფილებას ვერ მალავს.

## შტუტგარტი ხედირას გარეშე

მომავალ ოთხშაბათს, გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალში, "შტუტგარტი" ნახევარმცველ **სამი ხედირას** ვერ დაიხმარს. გერმანიის ჩემპიონის ერთ-ერთმა ლიდერმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ორკვირიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. შეგახსენებთ, რომ შვაბები 25 ივლისს "გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონზე" "ვერდერისა" და "ბაიერნის" შორის გამარჯვებულს უმასპინძლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# გაიცანით, სანდრო ვაგნერი!

გუნდის ოფიციალურ ფოტოზე, რომელიც „ბაიერნმა“ გუშინწინ გადაიღო, მისი ადგილი, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა. 19 წლის თავდამსხმელი **სანდრო ვაგნერი** რეკორდმაისტერის მოყვარულთა გუნდში თამაშობს და ისეთ მეტოქეებს უტანს გოლებს, როგორებიც არიან რეგიონალლიგური კლუბები „ოგერსჰაიმი“, „პფულენდორფი“ და ა.შ. მაგრამ შაბათს, გერმანიის ლიგის თასის პირველ მატჩში, რომელიც დიუსელდორფში გაიმართება და რომელშიც ბავარიელები „ვერდერს“ შეხვდებიან, **ოტმარ ჰიტცფელდი** ვაგნერს სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს. სავარაუდოდ კი არა, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ ექნება ადგილი, ვაგნერი „ვერდერთან“ **მიროსლავ კლოზეს** მეწყვილე იქნება.

რატომ ვაგნერი? „გენერალი“ იძულებულია, ასეთი ნაბიჯი გადადგას, რადგან როგორც იცით, **ლუკა ტონიმ** ტრავმა მიიღო და მინიმუმ ათდღიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. იტალიელი გოლეადორი არა მხოლოდ „ვერდერთან“ ვერ ითამაშებს, არამედ დიდი შანსია, რომ ბუნდესლიგის პირველ ტურშიც (ჰანზასთან) ვერ იასპარეზოს, რადგან გამოჯანმრთელების შემდეგ, ფორმის აღდგენას დრო დასჭირდება. ჰოდა, რაკი **ლუკას პოდოლსკი** და **იან შლაუდრაფიც** ტრავმირებულები არიან, ჰიტცფელდს სხვა გზა აღარ რჩება – კლოზესთან ერთად თავდასხმაში 19 წლის ვაგნერი უნდა ათამაშოს.

**როკე სანტა კრუსი** კი ჯანმრთელადაა, მაგრამ, როგორც იცით, ეს თავდამსხმელი ოტმარის გეგმებში არ ზის. თანაც, პარაგვაელმა კოპა ამერიკის შემდეგ შვებულება მიიღო და ახლა სამშობლოში ისვენებს. საერთოდ კი, ბავარიელები, როგორც იცით, როკეს გაყიდვას გეგმავენ. ოღონდ, შეიძლება, მხოლოდ აგვისტოში გაუშვან, რადგან ტონის, პოდოლსკისა და შლაუდრაფის ტრავმების გამო, რეკორდმაისტერს კლოზეს გარდა, ფორვარდი აღარ დარჩა - თუ არ ჩავთვლით ვაგნერს, რომელსაც „ბაიერნის“ რიგებში ოფიციალური მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია. ცხადია, ჰიტცფელდს შეეძლო და შეუძლია, „ვერდერთან“ ერთი ფორვარდით ითამაშოს, მაგრამ როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, მიუნხენური კლუბის თავკაცს გეზის შეცვლა არ სურს და აუცილებლად 4-4-2 ტაქტიკით თამაში უნდა. ასე რომ, ვაგნერის ასპარეზობა გადაწყვეტილია.

ამრიგად, 19 წლის სანდრო ვაგნერმა, რომლის შეძენაც ბავარიულ გიგანტს თავის დროზე ერთი ცენტიც არ დასჯდომია, ის გუნდი უნდა იხსნას, რომელმაც ტრანსფერებში 70 მილიონი ევრო დახარჯა. ვაგნერი 7 წლის წინათ „ბაიერნის“ ბავშვთა გუნდში ბერლინის „ჰერტადან“ უფასოდ გადავიდა.

*„მწვრთნელმა უკვე მითხრა, რომ შაბათს მათამაშებს. შესანიშნავი გრძნობაა, ამას ნამდვილად არ მოველოდი. ჩვენ არაჩვეულებრივი თავდამსხმელები გვყავს და არ მეგონა, რომ ტონის, კლოზეს, პოდოლსკის, სანტა კრუსისა და შლაუდრაფის კომპანიაში თამაში მეც მომიწევდა. მოკლედ, ბედმა გამიღიმა და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენო. ჩემთვის უდიდესი პატივია ის, რომ ჰიტცფელდმა ნდობა გამომიცხადა. არაფრის არ მეშინია, მინდა, რომ „ვერდერს“ გოლი გავუტანო,“* – განუცხადა ვაგნერმა „ბილდს“.

რაც შეეხება ტონის ტრავმას. „გენერალი“ არ მალავს, რომ როცა ლუკა დაშავდა, შოკში ჩავარდა. მაგრამ მიუნხენურ კლუბში ყველა გახარებულია იმის გამო, რომ იტალიელის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ჰიტცფელდი სკეპტიკურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ ტონი ვერც ბუნდესლიგის პირველ ტურში ითამაშებს. *„ლუკას ტრავმა ჩვენთვის უდიდესი დარტყმაა. ვეჭვობ, რომ მან „ჰანზასთან“ მატჩამდე ფორმის აღდგენა მოახერხოს და როსტოკულ კლუბთან ასპარეზობა შეძლოს,“* – აცხადებს ჰიტცფელდი.



სანდრო ვაგნერი

## რიბერიც საეჭვოა

დიდი შანსია, რომ „ვერდერთან“ ლუკა ტონის გარდა, ვერც ბავარიელთა მეორე ხმაურიანმა შენაძენმა, **ფრანკ რიბერიმ** იასპარეზოს. ფეხბურთელს, რომელშიც რეკორდმაისტერმა 25 მილიონი ევრო გადაიხადა, კუნთი აქვს დაჭიმული. ფრანგმა ნახევარმცველმა მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშა. ჰიტცფელდი ამბობს, რისკზე წასვლა დიდი სისულელე იქნება, თუ ექიმები 100-პროცენტიან გარანტიას ვერ მოგვცემენ, რაშიც ეჭვი მეპარება, „ვერდერთან“ რიბერიც გამოგვაკლდებაო. არადა, „ბაიერნის“ ქომაგები ტონი-კლოზე-რიბერის ტრიოს ოფიციალურ დებიუტს ელოდნენ...

**გოტფრიდ ლენცი**

## ვოლფსბურგი ბაზარზე აქტიურობას განაგრძობს

"ვოლფსბურგმა", რომელსაც სათავეში **ფელიქს მაგათი** უდგას, მორიგი ტრანსფერი სრულყო. "მგლებმა" ჩემპიონ "შტუტგარტის" ნახევარმცველი **კრისტიან გენტნერი** ერთი წლით ინათხოვრეს. 21 წლის გენტნერს შვაბთა მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** იშვიათად ათამაშებდა, მაგათს კი ეს ფეხბურთელი ძალიან მოსწონს. "დესპოტი ფელიქსი" ამ ტრანსფერით უაღრესად კმაყოფილია. გენტნერს ბუნდესლიგაში 39 თამაში აქვს ჩატარებული (1 გოლი).

ამასთან, "მგლებში" „ჰერტადან" გერმანიის ჩემპიონ „შტუტგარტში" გადაბარგებული **ილდირაი ბაშთურქის** ძმა, **ერდალ ბაშთურქი** ისინჯება. ეს უკანასკნელი 21 წლის გახლავთ და მეხუთე ლიგის გუნდ „ვანე-ეკელში" ასპარეზობს. ერდალი, უფროსი ძმის დარად, ფლეიმეიქერი და დრიბლიორია. მას ახლა მაგათი აკვირდება და პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგია. *„ყოველთვის მინდოდა, რომ ილდირაის ჩემს გუნდში ეთამაშა. რაკი ეს ვერ მოხერხდა, ახლა მის ძმას ვსინჯავ. კარგი ფეხბურთელია, არ გამოვრიცხავ, რომ დავიმატოთ,"* – ამბობს „დესპოტი ფელიქსი".

## შტუტგარტი სანოგოსთვის იბრძვის

გერმანიის ჩემპიონ "შტუტგარტს" "ჰამბურგის" კოტ დ'ივუარელი ფორვარდის, **ბოუბაკარ სანოგოს** შეძენა ძალიან უნდა. როგორც იცით, ამ თავდამსხმელის გადაბირება "ვერდერსაც" სურდა, მაგრამ ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებმა ბრემენელ "მუსიკოსებს" საბოლოო უარი შეუთვალეს. "შტუტგარტის" ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ უახლოეს დღეებში HSV-ს ოფიციალური წინადადებით მიმართავენ. სანოგო "ჰამბურგში" შარშან, "კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა (3.8 მილიონი ევრო), მაგრამ იმედები ვერ გაამართლა. ცნობილია, რომ თუ შვაბები 4 მილიონს გადაიხდიან, HSV სანოგოს უპრობლემოდ დათმობს.

## კარლოს ალბერტოს ჩინებული დებიუტი

სამშაბათს, შვეიცარიაში მყოფმა "ვერდერმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ "ლივერპულთან" ამხანაგური მატჩი გამართა და 2:3 დამარცხდა. მიუხედავად წაგებისა, "მუსიკოსების" მთავარი მწვრთნელი **თომას შაფი** თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით კი ახალწვეული **კარლოს ალბერტო** შეაქო, რომელმაც "ვერდერის" რიგებში ჩატარებულ პირველსავე შეხვედრაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

*"კარლოს ალბერტო მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თანაც, ჯერ კიდევ არაა საუკეთესო ფორმაში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნება,"* - განაცხადა შააფმა 22 წლის ნახევარმცველზე, რომლის სანაცვლოდაც ბრემენელებმა 8 მილიონი ევრო გადაიხადეს, რითაც ალბერტო ბრემენული კლუბის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდა.

## ბელგია 2007-08. კალენდარი

**I ტური. 3 აგვისტო**

მუსკრონი-გენტი
ბრიუგე-მონსი
დენდერი-ბეერსხოტი
გენკი-სერკლი
ვარეგემი-სტანდარდი
შარლერუა-რუზელარე
ლოკერენი-სტ. ტრუიდენი
მეხელენი-ანდერლეხტი
მოლენბეკი-ვესტერლო

**II ტური. 10 აგვისტო**

რუზელარე-დენდერი
სტ. ტრუიდენი-მუსკრონი
ვესტერლო-შარლერუა
ანდერლეხტი-ლოკერენი
ბეერსხოტი-ბრიუგე
სტანდარდი-მოლენბეკი
მონსი-მეხელენი
სერკლი-ვარეგემი
გენტი-გენკი

**III ტური. 18 აგვისტო**

შარლერუა-მეხელენი
ლოკერენი-ბეერსხოტი
მოლენბეკი-გენტი
მუსკრონი-მონსი
ბრიუგე-სტ. ტრუიდენი
დენდერი-ანდერლეხტი
სტანდარდი-სერკლი
გენკი-რუზელარე
ვარეგემი-ვესტერლო

**IV ტური. 24 აგვისტო**

სერკლი-დენდერი
გენტი-ვარეგემი
მეხელენი-ბრიუგე
რუზელარე-სტანდარდი
სტ. ტრუიდენი-შარლერუა
ვესტერლო-მუსკრონი
ანდერლეხტი-მოლენბეკი
ბეერსხოტი-გენკი
მონსი-ლოკერენი

**V ტური. 31 აგვისტო**

მუსკრონი-ანდერლეხტი
სტანდარდი-ბრიუგე
დენდერი-სტ. ტრუიდენი
გენკი-ვესტერლო
ვარეგემი-ბეერსხოტი
შარლერუა-მონსი
სერკლი-გენტი
ლოკერენი-მეხელენი
მოლენბეკი-რუზელარე

**VI ტური. 14 სექტემბერი**

რუზელარე-სერკლი
სტ. ტრუიდენი-გენკი
ვესტერლო-დენდერი
ბრიუგე-ლოკერენი
ბეერსხოტი-შარლერუა
ანდერლეხტი-ვარეგემი
მონსი-მოლენბეკი
გენტი-სტანდარდი
მეხელენი-მუსკრონი

**VII ტური. 21 სექტემბერი**

შარლერუა-ბრიუგე
სერკლი-ბეერსხოტი
გენტი-რუზელარე
მოლენბეკი-სტ. ტრუიდენი
მუსკრონი-ლოკერენი
სტანდარდი-ვესტერლო
დენდერი-მონსი
გენკი-ანდერლეხტი
ვარეგემი-მეხელენი

**VIII ტური. 28 სექტემბერი**

ვესტერლო-სერკლი
ბრიუგე-მუსკრონი
ბეერსხოტი-გენტი
ანდერლეხტი-შარლერუა
მონსი-გენკი
ლოკერენი-მოლენბეკი
მეხელენი-დენდერი
რუზელარე-ვარეგემი
სტ. ტრუიდენი-სტანდარდი

**IX ტური. 5 ოქტომბერი**

გენტი-ვესტერლო
მოლენბეკი-ბრიუგე
რუზელარე-ანდერლეხტი
სტანდარდი-ბეერსხოტი
დენდერი-ლოკერენი
გენკი-მეხელენი
ვარეგემი-მონსი
შარლერუა-მუსკრონი
სერკლი-სტ. ტრუიდენი

**X ტური. 19 ოქტომბერი**

მეხელენი-სერკლი
მუსკრონი-გენკი
სტ. ტრუიდენი-ვარეგემი
ვესტერლო-რუზელარე
ბრიუგე-დენდერი
ბეერსხოტი-მოლენბეკი
ანდერლეხტი-გენტი
მონსი-სტანდარდი
ლოკერენი-შარლერუა

**XI ტური. 26 ოქტომბერი**

ვარეგემი-ლოკერენი
სერკლი-ანდერლეხტი
გენტი-მონსი
მოლენბეკი-შარლერუა
რუზელარე-სტ. ტრუიდენი
დენდერი-მუსკრონი
სტანდარდი-მეხელენი
ვესტერლო-ბეერსხოტი
გენკი-ბრიუგე

**XII ტური. 2 ნოემბერი**

სტ. ტრუიდენი-გენტი
ბრიუგე-ვარეგემი
ბეერსხოტი-რუზელარე
ანდერლეხტი-ვესტერლო
მონსი-სერკლი
შარლერუა-დენდერი
ლოკერენი-გენკი
მეხელენი-მოლენბეკი
მუსკრონი-სტანდარდი

**XIII ტური. 9 ნოემბერი**

მოლენბეკი-დენდერი
რუზელარე-მონსი
ვესტერლო-სტ. ტრუიდენი
სტანდარდი-ლოკერენი
ბეერსხოტი-ანდერლეხტი
გენკი-შარლერუა
ვარეგემი-მუსკრონი
სერკლი-ბრიუგე
გენტი-მეხელენი

**XIV ტური. 30 ნოემბერი**

შარლერუა-ვარეგემი
ლოკერენი-სერკლი
მეხელენი-რუზელარე
მუსკრონი-მოლენბეკი
დენდერი-გენკი
ბრიუგე-გენტი
სტ. ტრუიდენი-ბეერსხოტი
ანდერლეხტი-სტანდარდი
მონსი-ვესტერლო

**XV ტური. 7 დეკემბერი**

ვესტერლო-მეხელენი
სტანდარდი-შარლერუა
ბეერსხოტი-მონსი
ვარეგემი-დენდერი
სერკლი-მუსკრონი
გენტი-ლოკერენი
მოლენბეკი-გენკი
რუზელარე-ბრიუგე
სტ. ტრუიდენი-ანდერლეხტი

**XVI ტური. 14 დეკემბერი**

მეხელენი-ბეერსხოტი
მოლენბეკი-სერკლი
მუსკრონი-რუზელარე
ბრიუგე-ანდერლეხტი
დენდერი-სტანდარდი
გენკი-ვარეგემი
მონსი-სტ. ტრუიდენი
შარლერუა-გენტი
ლოკერენი-ვესტერლო

**XVII ტური. 21 დეკემბერი**

გენტი-დენდერი
რუზელარე-ლოკერენი
სტ. ტრუიდენი-მეხელენი
ვესტერლო-ბრიუგე
ანდერლეხტი-მონსი
ბეერსხოტი-მუსკრონი
სტანდარდი-გენკი
ვარეგემი-მოლენბეკი
სერკლი-შარლერუა

**XVIII ტური. 18 იანვარი**

სტანდარდი-ვარეგემი
რუზელარე-შარლერუა
სტ. ტრუიდენი-ლოკერენი
ანდერლეხტი-მეხელენი
ვესტერლო-მოლენბეკი
გენტი-მუსკრონი
მონსი-ბრიუგე
ბეერსხოტი-დენდერი
სერკლი-გენკი

**XIX ტური. 25 იანვარი**

შარლერუა-ვესტერლო
ლოკერენი-ანდერლეხტი
ბრიუგე-ბეერსხოტი
მოლენბეკი-სტანდარდი
მეხელენი-მონსი
ვარეგემი-სერკლი
გენკი-გენტი
დენდერი-რუზელარე
მუსკრონი-სტ. ტრუიდენი

**XX ტური. 2 თებერვალი**

ბეერსხოტი-ლოკერენი
გენტი-მოლენბეკი
მონსი-მუსკრონი
სტ. ტრუიდენი-ბრიუგე
ანდერლეხტი-დენდერი
სერკლი-სტანდარდი
რუზელარე-გენკი
ვესტერლო-ვარეგემი
მეხელენი-შარლერუა

**XXI ტური. 6 თებერვალი**

ვარეგემი-გენტი
ბრიუგე-მეხელენი
სტანდარდი-რუზელარე
შარლერუა-სტ. ტრუიდენი
მუსკრონი-ვესტერლო
მოლენბეკი-ანდერლეხტი
გენკი-ბეერსხოტი
ლოკერენი-მონსი
დენდერი-სერკლი

**XXII ტური. 15 თებერვალი**

ანდერლეხტი-მუსკრონი
ბრიუგე-სტანდარდი
სტ. ტრუიდენი-დენდერი
ვესტერლო-გენკი
ბეერსხოტი-ვარეგემი
მონსი-შარლერუა
გენტი-სერკლი
მეხელენი-ლოკერენი
რუზელარე-მოლენბეკი

**XXIII ტური. 22 თებერვალი**

სერკლი-რუზელარე
გენკი-სტ. ტრუიდენი
დენდერი-ვესტერლო
ლოკერენი-ბრიუგე
შარლერუა-ბეერსხოტი
ვარეგემი-ანდერლეხტი
მოლენბეკი-მონსი
სტანდარდი-გენტი
მუსკრონი-მეხელენი

**XXIV ტური. 28 თებერვალი**

ბეერსხოტი-სერკლი
რუზელარე-გენტი
სტ. ტრუიდენი-მოლენბეკი
ლოკერენი-მუსკრონი
ვესტერლო-სტანდარდი
მონსი-დენდერი
ანდერლეხტი-გენკი
მეხელენი-ვარეგემი
ბრიუგე-შარლერუა

**XXV ტური. 7 მარტი**

გენკი-მონსი
მოლენბეკი-ლოკერენი
დენდერი-მეხელენი
ვარეგემი-რუზელარე
სტანდარდი-სტ. ტრუიდენი
სერკლი-ვესტერლო
მუსკრონი-ბრიუგე
გენტი-ბეერსხოტი
შარლერუა-ანდერლეხტი

**XXVI ტური. 14 მარტი**

ანდერლეხტი-რუზელარე
ბეერსხოტი-სტანდარდი
ლოკერენი-დენდერი
მეხელენი-გენკი
მონსი-ვარეგემი
მუსკრონი-შარლერუა
სტ. ტრუიდენი-სერკლი
ვესტერლო-გენტი
ბრიუგე-მოლენბეკი

**XXVII ტური. 21 მარტი**

გენკი-მუსკრონი
ვარეგემი-სტ. ტრუიდენი
რუზელარე-ვესტერლო
დენდერი-ბრიუგე
მოლენბეკი-ბეერსხოტი
გენტი-ანდერლეხტი
სტანდარდი-მონსი
შარლერუა-ლოკერენი
სერკლი-მეხელენი

**XXVIII ტური. 28 მარტი**

ანდერლეხტი-სერკლი
მონსი-გენტი
შარლერუა-მოლენბეკი
სტ. ტრუიდენი-რუზელარე
მუსკრონი-დენდერი
მეხელენი-სტანდარდი
ბეერსხოტი-ვესტერლო
ბრიუგე-გენკი
ლოკერენი-ვარეგემი

**XXIX ტური. 4 აპრილი**

გენტი-სტ. ტრუიდენი
ვარეგემი-ბრიუგე
რუზელარე-ბეერსხოტი
ვესტერლო-ანდერლეხტი
სერკლი-მონსი
დენდერი-შარლერუა
გენკი-ლოკერენი
მოლენბეკი-მეხელენი
სტანდარდი-მუსკრონი

**XXX ტური. 11 აპრილი**

დენდერი-მოლენბეკი
მონსი-რუზელარე
სტ. ტრუიდენი-ვესტერლო
ლოკერენი-სტანდარდი
ანდერლეხტი-ბეერსხოტი
შარლერუა-გენკი
მუსკრონი-ვარეგემი
ბრიუგე-სერკლი
მეხელენი-გენტი

**XXXI ტური. 18 აპრილი**

სერკლი-ლოკერენი
რუზელარე-მეხელენი
მოლენბეკი-მუსკრონი
გენკი-დენდერი
გენტი-ბრიუგე
ბეერსხოტი-სტ. ტრუიდენი
სტანდარდი-ანდერლეხტი
ვესტერლო-მონსი
ვარეგემი-შარლერუა

**XXXII ტური. 25 აპრილი**

მუსკრონი-სერკლი
ლოკერენი-გენტი
გენკი-მოლენბეკი
ბრიუგე-რუზელარე
ანდერლეხტი-სტ. ტრუიდენი
მეხელენი-ვესტერლო
შარლერუა-სტანდარდი
მონსი-ბეერსხოტი
დენდერი-ვარეგემი

**XXXIII ტური. 2 მაისი**

რუზელარე-მუსკრონი
ანდერლეხტი-ბრიუგე
სტანდარდი-დენდერი
ვარეგემი-გენკი
სტ. ტრუიდენი-მონსი
გენტი-შარლერუა
ვესტერლო-ლოკერენი
ბეერსხოტი-მეხელენი
სერკლი-მოლენბეკი

**XXXIV ტური. 9 მაისი**

ლოკერენი-რუზელარე
მეხელენი-სტ. ტრუიდენი
ბრიუგე-ვესტერლო
მონსი-ანდერლეხტი
მუსკრონი-ბეერსხოტი
გენკი-სტანდარდი
მოლენბეკი-ვარეგემი
შარლერუა-სერკლი
დენდერი-გენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პორტრეტი

# ჯონ ტერი: ჩელსი ერთადერთი და უსაყვარლესია

## თავის დროზე, არისტოკრატთა კაპიტანმა მანჩესტერში დარჩენაზე თქვა უარი

**"ჩელსიში" ბევრი კარგი ფეხბურთელია - რომან აბრამოვიჩის გუნდში მისვლის შემდეგ, სასელექციო სამსახურმა შესანიშნავად იმუშავა. მაგრამ, "სტემფორდ ბრიჯზე" ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი, ეჭვგარეშე, "ლურჯების" კაპიტანი ჯონ ტერია. ეს ფეხბურთელი გაიზარდა და მსოფლიო დონის მოთამაშედ ფეხბურთელად სწორედ "ჩელსიში" ჩამოყალიბდა. ჯონს საკუთარი თავი სხვა გუნდში ვერ წარმოუდგენია. ყოველ შემთხვევაში, ის ამბობს: "ჩელსი" ჩემი ერთადერთი და უსაყვარლესი გუნდია".**

თუმცა, **ჯონ ტერის** ამ სიტყვებში პატარა ტყუილს მაინც ამოვაჩენთ. ჯერერთი, საფეხბურთო ანბანს ის სენრაბის სკოლაში დაეუფლა, რომელიც "ვესტ ჰემთან" ასოცირდება. ამ სასწავლებელში დაიწყო ისეთი ფეხბურთელების კარიერა, როგორებიც არიან **ლედლი კინგი, პოლ კონჩესკი, ბობი ზამორა** და **ჯეი-ლოიდ სამუელი**. "ჩელსიში" ჯონი 14 წლის ასაკში მოხვდა, მეტწილად თავისი ძმის, **პოლის** დახმარებით. უფროსმა ტერიმ სერიოზულ წარმატებებს ვერ მიაღწია: მოკრძალებულ "დაგენჰემში" თამაშობდა, შემდეგ "იეოვილში" გადავიდა, სადაც დღემდე ირიცხება.

კიდევ ერთი ტყუილი შემდეგში მდგომარეობს. მანჩესტერში გაიგეს, რომ "სტემფორდ ბრიჯზე" ნიჭიერი ბიჭი იზრდებოდა და ჯონი უიქ ენდის გასატარებლად, "ოლდ ტრაფორდზე" მიიწვიეს. ნაცნობი ტაქტიკაა. ოდესღაც "მანჩესტერ იუნაიტედმა" მსგავსი მანევრი ტოტენჰემელ მოზარდზე გამოიყენა, მას კი ისე მოეწონა ახალი გარემო, რომ მანჩესტერში დარჩა. ალბათ მიხვდით, რომ **დევიდ ბექჰემზეა** საუბარი. დევიდისგან განსხვავებით, ჯონი "წითელ ეშმაკებში" არ დარჩა. 14 წლის მოზარდმა გული იჯერა **პიტერ შმაიხელთან, პოლ ინსთან, ერიკ კანტონასთან** და გუნდის სხვა ვარსკვლავებთან საუბრით. ამის შემდეგ, **ალექს ფერგიუსონთან** და მოთამაშეებთან ერთად მაგიდასთან დასვეს. ან სადილი იყო უგემური ან კუმირებმა გამოიწვიეს იმედგაცრუება, ყოველ შემთხვევაში, ტერიმ ლონდონში დაბრუნება მოითხოვა. ის ბექჰემის გზას არ დაადგა და მანჩესტერელებს "ჩელსიში" მოუწიათ მისი გაბრუნება, სადაც მწვრთნელებმა მაღალი, დაკუნთული, ასაკთან შეუსაბამოდ ჩამოყალიბებული ბიჭისგან ცენტრალური მცველის ძერწვა დაიწყეს. და გამოძერწეს კიდეც - ძლიერი, ხისტი, თავით შესანიშნავად მოთამაშე, საკუთარი და მეტოქის საჯარიმოების ბატონ-პატრონი. უნდა ითქვას, რომ "ჩელსის" სკოლის მასწავლებლებმა ბრწყინვალე სამუშაო ჩაატარეს.

და მესამე ტყუილი - მცირეხნიანი გამოსვლა ძველ, დიად, მაგრამ ახლა უკვე დავრდომილ "ნოტინგემში". "ჩელსის" ძირითადში ტერი ვერ ხვდებოდა და ის **ჯანლუკა ვიალიმ** "ნოტინგემში" გამოცდილების შესაძენად გაუშვა, თანაც, რაც შეიძლება შორს ლონდონის მაცდური ცხოვრებისგან და ამქვეყნიური სიამოვნებებისგან. ჯონმა "ნოტინგემში" ექვსი მატჩი ჩაატარა, რის შემდეგაც მშობლიურ კლუბში დაბრუნდა. აქედან მოყოლებული, მას "ჩელსი" აღარ დაუტოვებია.

ტერის "ჩელსიში" დებიუტი 1998 წლის შემოდგომაზე, "ასტონ ვილას" წინააღმდეგ ჰქონდა. მაშინ "ლურჯებს" ვიალი ავარჯიშებდა, რომელიც, მაინცა და მაინც, არ წყალობდა ინგლისელ ფეხბურთელებს. იტალიელ სპეციალისტს ამის მიზეზი ჰქონდა - კლუბის აღზრდილები, ბავშვობაში ნიჭიერ მოთამაშეებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ სათანადოდ მოქცევა არ იცოდნენ. **ენდი მაიერსი, ჯოდი მორისი, ჯონათან ჰარლი** სასმელს ეტანებოდნენ და ამ საქმეს ჯონიც მიაჩვიეს. ამ კომპანიას ხშირად ხედავდნენ ბარებში, პაბებსა თუ ღამის კლუბებში. და დილით, ჯონი სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ვარჯიშზე თვალებჩაწითლებული. თუმცა ეს მას ხელს არ უშლიდა ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში ეთამაშა და მისი კაპიტანიც ყოფილიყო. მაგრამ ნიჭიერ მცველს "ჩელსის" ძირითადში დამკვიდრება უჭირდა. მაშინ კლუბის დაცვის ცენტრში ორი მსოფლიო ჩემპიონი - **მარსელ დესაი** და **ფრანკ ლებეფი** თამაშობდნენ.

მაგრამ ერთხელ, ლებეფმა ტრავმა მიიღო და დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან. სწორედ მაშინ მიიღო თავისი შანსი ჯონმა და ის კარგად გამოიყენა. 2000-01 წლების სეზონში, ტერი "ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ეს იმ დროს, როცა კლუბში უამრავი ვარსკვლავი თამაშობდა.

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სვენ-გორან ერიქსონმაც** მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა მცველს. და ტერი აუცილებლად გაემგზავრებოდა მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიასა და კორეაში, რომ არა მისი "გმირობები" სტადიონის მიღმა.

იმ თავისუფლებამ, რომელიც "ჩელსიში" არსებობდა, თავისი შედეგი გამოიღო. როგორც კი ფეხბურთელები მოდუნდებოდნენ, ისინი ბოლომდე აიშვებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდის შემდეგ, ინგლისის ნაკრების მომავალი კაპიტნის კარიერას კინაღამ ხაზი გადაესვა.

2002 წლის 4 იანვარს, ჯოდი მორისი ქალიშვილის დაბადების დღეს აღნიშნავდა. ბედნიერ მამას, ჯონ ტერისა და "უიმბლდონის" მცველ **დეს ბირნს** სასმელი არ ეყოთ და ისინი ლონდონის ღამის კლუბ "ველინგტონში" გაემართნენ. იქ კიდევ დალიეს და ბოლოს ჩხუბი გამართეს. ბარის მცველმა ფეხბურთელების დაშოშმინება სცადა, მაგრამ ლიტრიანი ბოთლი მიიღო თავში. "ველინგტონში" მისულმა პოლიციამ ტრიო განყოფილებაში წაიყვანა.

*"პირველად ცხოვრებაში საკანში ჩამსვეს. ციხეში მხოლოდ ერთი დღე გავატარე, მაგრამ ის მთელი ცხოვრება მემახსოვრება. ჩემზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, გამომძიებელი მემუქრებოდა, რომ ციხეში რამდენიმე წლიწადს ჩამსვამდა და ფეხბურთს დამავიწყებდა. და მაშინ ჩემს თავს სიტყვა მივეცი: თუ აქედან გავაღწიე, მსგავსი რამ არასდროს განმეორდება".*

ჯონი თავდებში გაუშვეს, მაგრამ საქმე არ დახურულა. ჯერ არ იყო ჩამცხრალი ვნებები **ვუდგეიტი-ბოუიერის** საქმის გამო და ამიტომაც, ალბიონზე ნამდვილი ომი გამოუცხადეს საფეხბურთო ხულიგნებს. ფეხბურთის ასოციაციამ ტერის, როგორც ინგლისური ფეხბურთის იმიჯის შემბღალველს, ნაკრებში თამაში აუკრძალა. იმავე ფორმულირებით ნაკრებიდან გამოიყვანეს ჯონათან ვუდგეიტი. *"ეს ძალიან მკაცრი სასჯელი იყო. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არ გამიშვეს, არადა, მე ხომ იმ ნაკრების კაპიტანი ვიყავი. ისღა დამრჩენოდა ბედს შევგუებოდი და მომავალში მსგავსი რამ აღარ დამეშვა".*

ჯონი ციხეს გადაურჩა. ყველაფერი თავის თავზე ბირნმა აიღო, ხოლო მორისსა და ტერის ბრალი მოუხსნეს. მაგრამ ახალი უბედურება. წინასასეზონო მზადების დროს, ტერიმ ფეხი მოიტეხა და ნახევარი სეზონი გამოტოვა. დაცვის ცენტრში ადგილი **ვილიამ გალასმა** დაიკავა. საჭირო გახდა ხელმეორედ ბრძოლა ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად. ან რჩებოდა მეორე ვარიანტი - კლუბის გამოცვლა.

"ჩელსის" ხელმძღვანელობამ დაარწმუნა ტერი, რომ ის გუნდში უნდა დარჩენილიყო და ახალი კონტრაქტი გაეფორმებინა. და ჯონი საბოლოოდ გაიხსნა. შესანიშნავი სეზონი 2003-04 წლებში, რომლის შედეგების მიხედვით, "ლურჯების" კაპიტანი პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და ინგლისის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. ქვეყნის პირველ გუნდში უმტკივნეულოდ შეცვალა დისკვალიფიცირებული **რიო ფერდინანდი** და შესანიშნავად ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როცა **სტივ მაკლარენმა** უარი თქვა დევიდ ბექჰემის სამსახურზე, ჯონ ტერი ნაკრების ახალ კაპიტნად აირჩიეს. *"ეს უდიდესი პატივია ჩემთვის და ვეცდები, ღირსეულად შევასრულო კაპიტნის მოვალეობები"*, ჯონი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ნაკრებში ბექჰემის დაბრუნებას და მზად იყო, მისთვის კაპიტნის სამკლაურიც დაეთმო, მაგრამ დევიდმა უარი განაცხადა, თუმცა ტერის ჟესტი სათანადოდ დააფასა. ბრაზილიასთან მატჩში, სწორედ ყოფილმა და ამჟამინდელმა კაპიტნებმა შექმნეს გოლი პენტაკამპეონთა კარში.

ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჯონმა უკვე მიაღწია ოსტატობის უმაღლეს დონეს. მაგრამ ის ყოველ წელიწადს აგრძელებს პროგრესს. "ჩელსის" დაცვა თითქმის გაუვალი გახდა, ხოლო ტერი უკვე ბომბარდირულ თვისებებსაც ავლენს. მისი ყოველი რეიდი მეტოქის კართან გოლით ან სახიფათო მომენტით მთავრდება. სხვათა შორის, ტერიმ კიდევ ერთ უჩვეულო ამპლუაში გამოავლინა თავი - ის კარშიც კი ჩადგა. "რედინგთან" ცნობილი მატჩის დროს, როცა ტრავმები მიიღეს **პეტრ ჩეხმა** და **კარლო კუდიჩინიმ**, მეკარის ფუნქციების შესრულება ჯონმა იკისრა და კარი მშრალად შეინახა.

2006-07 წლების სეზონი რთული გამოდგა "ჩელსისთვის" და მისი კაპიტნისთვის. ჯონმა რამდენიმე სერიოზული ტრავმა მიიღო და ბევრი მატჩი გამოტოვა.

განსაკუთრებით საშინელი ჩანდა ის დაზიანება, რომელიც მას "არსენალის" ფეხბურთელმა **აბუ დიაბიმ** მიაყენა. ფრანგმა ბურთის გამოტანისას, მთელი ძალით ჩაარტყა სახეში ფეხი ტერის. "ჩელსის" კაპიტანმა გონება დაკარგა და ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. პარტნიორებმა კი, მას ლიგის თასის ფინალში გამარჯვება მიუძღვნეს.

შარშან, ჯონი მამა გახდა. მისმა დიდი ხნის მეგობარმა გოგონამ, **ტონი პულმა** ტყუპები გააჩინა - ბიჭი, რომელსაც **ჯორჯ ჯონი** დაარქვეს და ქალიშვილი ლამაზი სახელით - **სამერ როუზი** ("ზაფხულის ვარდი"). მამობა ტერიმ უნგრეთის კარში გატანილი გოლით აღნიშნა. ამ მნიშვნელოვან თარიღამდე ცოტა ხნით ადრე კი, ტერი კვლავ მოხვდა სკანდალური ქრონიკების ფურცლებზე. ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მოთამაშეები ღია მანქანით სეირნობდნენ ლონდონის ქუჩებში და ლუდს მიირთმევდნენ. ცარიელ ბოთლებს კი, პირდაპირ მანქანიდან ყრიდნენ. პოლიციაში ერთი მოტოციკლისტის საჩივარი შევიდა, რომელსაც სწორედ ტერის მიერ ნასროლი ბოთლი მოხვდა. მაგრამ ამ ეპიზოდისგან სკანდალი არ აგორდა. როგორც აღმოჩნდა, ინციდენტში დამნაშავე თავად მოტოციკლის მძღოლი აღმოჩნდა, რომელმაც გზა გადაუჭრა ჩემპიონების მანქანას.

### ტიტულს მალე დავიბრუნებთ

გასულ წელიწადს, **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა ინგლისის ჩემპიონის ტიტული დაკარგეს და კვლავ ვერ მოიგეს ჩემპიონთა ლიგა. ერთგვარი შვება იყო ინგლისისა და ლიგის თასზე მოპოვებული გამარჯვებები. მაგრამ ჯონ ტერის მიაჩნია, რომ ლონდონელთა უკან დახევა დროებითი მოვლენაა.

- არანაირი კრიზისი არ არსებობს. ეს ფეხბურთია და აქ არ შეიძლება მუდმივად მწვერვალზე იმყოფებოდე. "ჩელსისთვის" გასული სეზონი ურთულესი აღმოჩნდა, ბევრი ტრავმირებული გვყავდა, ფეხბურთელებს მხრებზე უდიდესი დატვირთვა დააწვათ. ამიტომაც ვერ შეძლეს მათ ჩემპიონობის მოპოვება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითია და ჩვენ დავიბრუნებთ ტიტულს.

**- თქვენი აზრით, რის ხარჯზე გახდა "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონი?**

- ეს ჩვენ მივეცით მათ შანსი, ფინიშზე პირველები მისულიყვნენ. მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. ლიდერი წინ გავუშვით, შემდეგ დავეწიეთ, მაგრამ ამას მოჰყვა სრულიად უაზრო ფრე "ბოლტონთან".

**- "მანჩესტერის" წარმატება გაგიხარდათ? ბავშვობაში ხომ ამ გუნდის გულშემატკივარი იყავით და კინაღამ მის რიგებში ჩაირიცხეთ.**

- ვერ ვიტყვი, რომ ფანი ვიყავი, თუმცა გარკვეული სიმპათიები გამაჩნდა. ძალიან მომწონდა 90-იანის შუა წლების გუნდი. განსაკუთრებით ვიხიბლებოდი პოლ ინსით და ბედნიერი ვარ, რომ მანჩესტერში მცირეხნიანი მივლინებისას, მისი გაცნობის საშუალება მომეცა.

**- რატომ არ დარჩით მაშინ "იუნაიტედში"?**

- ეს შეკითხვა სჯობს "მანჩესტერის" მესვეურებს დაუსვათ. ჩემთვის კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს და მეც ლონდონში დავბრუნდი, რასაც ახლა არ ვნანობ. და არც მაშინ მინაღვლია.

**- მართალია, რომ საფეხბურთო კარიერის დასაწყისში გასახდელების დალაგება, წამყვანი ფეხბურთელების ბუცების გაწმენდა გიწევდათ?**

- ასეთებიც იყო. კლუბში მკაცრი იერარქია არსებობდა. ახალგაზრდები გასახდელში იატაკს რეცხავდნენ და "სტემფორდ ბრიჯის" სხვა ადგილებსაც ასუფთავებდნენ, დაატარებდნენ ბურთებით სავსე ბადეს, ძირითადის ფეხბურთელების ბუცებს წმენდნენ. მე კაპიტნის, დენის უაიზის ბუცების წმენდა და მისი ფორმის გაუთოვება მევალა. დენისი მკაცრი ადამიანია, აბა გაგებედა და ცუდად გაგეწმინდა მისი ფეხსაცმელი... მაგრამ მას იუმორიც კარგი ჰქონდა, ყოველთვის ხუმრობდა. მინდა ვთქვა, რომ მასთან ურთიერთობისას ბევრი რამ ვისწავლე. კერძოდ, უაიზმა მასწავლა, როგორ უნდა გავმხდარიყავი მინდორზე მეომარი.

**- ახლა ვინ წმენდს ჯონ ტერის ბუცებს?**

- თავად ჯონ ტერი, ან მომსახურე პერსონალი. 90-იან წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა აღარ არსებობს. ყველა თავის საქმეს აკეთებს.

**- "ჩელსის" საფეხბურთო სკოლამ ბევრი კარგი ფეხბურთელი გაზარდა. მაგრამ მათგან, მხოლოდ ჯონ ტერიმ მიაღწია დიდ მწვერვალებს. რით ახსნით ამ მოვლენას?**

- არც კი ვიცი, რა გითხრათ. იქნებ ბიჭებს ხასიათის სიმტკიცე არ ეყოთ. იგივე კარლტონ კოული ვარჯიშებზე სასწაულებს ახდენდა, მაგრამ მინდორზე ყოველთვის სადღაც იკარგებოდა. ან ჯონ ჰარლი - რა ნიჭიერი იყო! ჩემზე ადრე გამოჩნდა, მაგრამ შემდეგ რაღაც დაემართა.

**- "ჩელსიში" უამრავი ქვეყნიდან არიან შეკრებილი ფეხბურთელები. ყველანი ვარსკვლავებად ითვლებიან, სხვადასხვა ხასიათებითა და თავისებურებებით. როგორი ურთიერთობაა გუნდის შიგნით?**

- შესანიშნავი. ჩემს მეხსიერებაში არ არსებობს თუნდაც ერთი კონფლიქტი ან გუნდის სხვადასხვა დაჯგუფებებად დაყოფის ფაქტები. რა თქმა უნდა, ვარჯიშის დროს პატარა ინციდენტები ხდება ხოლმე, მაგრამ ასეთ სურათს ხომ ყველგან ვხედავთ?! და კიდევ ის მომწონს, რომ ყველას იუმორის გრძნობა აქვს. ხშირად ხდება ერთმანეთის გამასხარავება.

**- თქვენც გამხდარხართ ვინმეს მსხვერპლი?**

- რა თქმა უნდა. ერთხელ, ფორმის ჩაცმა რომ დავაპირე, ჩემი ტრუსები ნაკარებში იყო გარღვეული. გასახდელში ყველა იცინის, მე კი ნამდვილად არ მეცინება. თურმე, ეს მატეა კეჟმანის მოფიქრებული ყოფილა, მაგრამ მასზე სრულიადაც არ გავბრაზებულვარ.

**- და ამ შემთხვევის შემდეგ დატოვა კეჟმანმა "ჩელსი"?**

- არა, რა თქმა უნდა. მატეას წასვლის მიზეზი სხვა იყო. მან აქ ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები ისე, როგორც თავად სურდა. წინა კლუბში - "ეინდჰოვენში" კეჟმანი ლიდერი იყო, საშუალოდ თამაშში გოლზე მეტს იტანდა. ინგლისში კი, მისი შედეგიანობა მკვეთრად დაეცა. მატეა ბევრს ცდილობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა ვერ ახერხებს ჩვენს გუნდში კარგ თამაშს.

**- იგივეს თქმა ანდრეი შევჩენკოზეც შეიძლება?**

- ვფიქრობ, არა. ჩემი აზრით, ანდრეის "ჩელსიში" ცუდი თამაში - მითია. დიახ, ის მაშინვე ვერ გავიდა თავის მილანურ დონეზე, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში შევჩენკო შესანიშნავად თამაშობდა. და ნუ დაივიწყებთ ტრავმებს, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა.

**- რამდენად დიდია შევჩენკოს "ჩელსიდან" წასვლის შანსი?**

- პირადად მე არ მინდა, რომ მან გუნდი დატოვოს. საერთოდ, როცა ვინმე "ჩელსიდან" მიდის, ცოტა ნაღვლიანი ვხდები.

**- ხშირად ხვდებით რომან აბრამოვიჩს?**

- დიახ. რომანი "ჩელსის" თითქმის ყველა შეხვედრას ესწრება, ხშირად შემოდის გასახდელში, ესაუბრება ფეხბურთელებს. მაგრამ საწვრთნელ პროცესში არ ერევა და მწვრთნელსა და ფეხბურთელებს არანაირ დარიგებებს არ აძლევს. მხოლოდ წარმატებას გვისურვებს და მორჩა.

**- როდის მოიგებს "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგას?**

- სასურველია, რაც შეიძლება მალე. ჩვენ ყოველ წელიწადს ვაპირებთ ამ ტიტულის მოგებას, მაგრამ ყოველთვის რაღაც შემთხვევითობა გვიშლის ხელს. თამაშის მიხედვით, არც "ლივერპულს" ჩამოვრჩებოდით და არც "ბარსელონას". მაგრამ ორივე დაპირისპირება მათ სასარგებლოდ დასრულდა.

**- როგორ აფასებთ ინგლისის ნაკრების პერსპექტივებს? მოხვდება ის ევრო 2008-ის მონაწილეთა რიცხვში?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ, თამაშის ხარისხიც შორს არის იდეალურისგან. მაგრამ ინგლისი შეძლებს პირველი ორი ადგილიდან ერთ-ერთის დაკავებას.



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა
GEORGIA

კრივი

ეროვნული ნაკრები

## ყველა გზა ბაქოსკენ მიდის



ბექა ლობჟანიძე



ზვიად ხადური

საქართველოს მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირი უკან მოიტოვა. ბელარუსის დედაქალაქში ჩვენმა გუნდმა ექვსი მოკრივით იასპარეზა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. წლეულს, ქართველმა მოკრივეებმა ოთხ ტურნირზე იჩხუბეს. თუმცა ნაკრების ხელმძღვანელობამ ჯერაც ვერ აარჩია ის შემადგენლობა, რომელსაც შემოდგომით, მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანს. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ შოშიაშვილმა გვითხრა, მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას ბაქოს შეკრების შემდეგ დაასახელებს.

- 48 კილოგრამში, **ზვიად ხადური** ნახევარფინალში დამარცხდა მოლდოველ ევროპის ჩემპიონატის პრიზიორთან. რეალურად, მან მეტოქე დაამარცხა, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს.

**ვასილ ყაზიშვილმა** (60 კგ), თავიდან მოუგო სომხეთის ნაკრების პირველ ნომერს, მაგრამ მერე ყაზახთან წააგო და ტურნირს გამოეთიშა. საკმაოდ კარგად დაიწყო **ლევან ღვამიჩავამ** (64). პირველი შეხვედრა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო, მაგრამ მეორეში, თავად გაიტეხა ცხვირი და ბრძოლა ვერ განაგრძო. არადა, იმ მომენტში, მესამე რაუნდი იყო და ღვამიჩავა ოთხი ქულით იგებდა. მას მედლის აღება რეალურად შეეძლო.

75 კილოგრამში, ასევე პირველი შეხვედრა, თანაც ნოკაუტით მოიგო **გიორგი ნაკანმა**. თუმცა მომდევნოში ქულებით დათმო ბელარუს მეტოქესთან.

პირველსავე რაუნდში, მასპინძელთა ლიდერთან ქულებით წააგო **დავით ნიკლაურმა** (81). რაც შეეხება მძიმეწონოსან **ბექა ლობჟანიძეს**, თავიდან ბელარუსის ნაკრების პირველი ნომერი გამოთიშა ტურნირს, რომელიც ცაცია იყო და თანაც ბექაზე მაღალი. სამწუხაროდ, ნახევარფინალში ლატვიელმა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა მოუგო...

**- ეროვნულმა ნაკრებმა უკვე ოთხ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა. ამოარჩიეთ თუ არა ის შემადგენლობა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანთ?**

- ამას ბაქოში გასამართი შეკრების შემდეგ გადავწყვეტთ. იქ ჩვენი და მასპინძლების გარდა, უზბეკები და ყაზახებიც ჩამოვლენ და შეკრების პარალელურად, გუნდურ მატჩებსაც ჩავატარებთ. ბაქოში წასვლის თარიღი ამ დღეებში გაირკვევა. ამას გარდა, გვინდა კიდევ ერთ ქვეყანასთან მოვაწყოთ ერთობლივი შეკრება. არ გამოვრიცხავ, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე, მხოლოდ ამას დავჯერდეთ და ტურნირებზე აღარ გამოვიდეთ. დასკვნითი შეკრება ალბათ ბაკურიანში ან ბორჯომში გვექნება, საიდანაც მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი კვირით ადრე წავალთ.

**- 64 კილოგრამში, კონსტანტინე კუპატაძეს თუ მისცემთ თავის გამოჩენის შანსს?**

- კუპატაძეს ბაქოში აუცილებლად წავიყვანთ და ყველაფერი მასზე იქნება დამოკიდებული. თუკი თავს გამოიჩენს, ნაკრებში მოხვდება.

**- ნაკრებში დაბრუნდა მძიმეწონოსანი გაგა ბოლქვაძე...**

- სამწუხაროდ, მინსკის ტურნირის წინ, გორში გამართულ შეკრებაზე, იგი გუნდთან ერთად მხოლოდ სამი დღით ადრე იყო. მერე კი დაგვტოვა, რადგან ბავშვს ელოდება. მოკლედ, ბოლქვაძეზე სათანადო დაკვირვება ჯერ ვერ მოვახერხეთ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

**- 91 კილოგრამში, ისევ ღიადაა საკითხი?**

- სამწუხაროდ, აქ ცოტა არ იყოს, გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. როგორც იცით, იაგო კილაძემ ორიოდე თვის წინ, ნოკაუტი მიიღო. თუმცა მაინც მქონდა იმედი, რომ შემოდგომამდე გამოჯანმრთელებას შეძლებდა. ახლახან გავიგე, რომ იგი კიევშია, მაგრამ სამკურნალოდ წავიდა, რომელიმე იქაური კლუბი იწვევს თუ რამე სხვა მიზეზია, არ ვიცი. მოკლედ, მოდით, დაველოდოთ ბაქოს შეკრებას და შემადგენლობაზე მერე ვილაპარაკოთ...

**კობა ხატისაშვილი**

ჭიდაობა

## ყველა ნაკრები საქმეშია



ჯერ უცნობია, შეინარჩუნებს თუ არა ლიდერის პოზიციას ირაკლი ჭოჭუა

28-29 ივლისს, ვარშავა ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები პოლონეთში 22 ივლისს გაემგზავრება ასეთი შემადგენლობით: **ლაშა ლომთაძე** (42), **ავთანდილ ჯიოევი** (46), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50), **ვასილ მამულაშვილი** (54), **დავით ხუციშვილი** (58), **გიორგი მელქაძე** (63), **გიორგი გაბისიანი** (69), **დავით მარსაგიშვილი** (76), **გიორგი ჩიტაშვილი** (85), **თორნიკე ხიდეშელი** (100).

„თავისუფალთა" შემდეგ გოგონები იჭიდავებენ, „ანტიკოსები" კი 28-29 ივლისს. ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ: **მინდია წულუკიძე** (42), **გიორგი დავითაია** (46), **ქემალ ხარაბაძე** (50), **საჩინო დავითაია** (54), **დავით ტაკაშვილი** (58), **პაატა ბაკურიძე** (63), **თორნიკე ნაჭყებია** (69), **ოთარ რამიშვილი** (76), **შალვა თოდრაძე** (85) და **ვასილ იმერლიშვილი** (100) დაიცავენ.

ვიდრე ჭაბუკები ევროპული მედლებისთვის იბრძოლებენ, ახალგაზრდები და უფროსები მსოფლიოსთვის მზადების დასკვნით ეტაპს იწყებენ - ხვალ ბაკურიანში მიემგზავრებიან საერთო ფიზმომზადების შეკრებაზე. უფროსებში მსოფლიო პირველობა 17-23 სექტემბერს, ბაქოში ჩატარდება. ეროვნული ნაკრების მწვრთნელები ჯერ შემადგენლობას არ ასახელებენ, რადგან წინ მზადების მთელი ეტაპია, რომელსაც გუნდები განსხვავებული განრიგით გაივლიან. პირველ შეკრებას ყველა ბაკურიანში გაივლის, მეორეზე „ანტიკოსები" მინსკში, სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე წავლენ, „თავისუფლები" კი ბორჯომში, სპორტკომპლექს „ოლიმპში" გააგრძელებენ მზადებას. მესამე შეკრებას ყველა ისევ ერთად გაივლის ბორჯომში, „ოლიმპის" ბაზაზე. „თავისუფლები" მსოფლიომდე ტურნირებში გამოსვლას არ გეგმავენ, მაგრამ თუ შეკრებებზე ვინმეს საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობას შეატყობენ, რომელიმე ტურნირში გამოცდიან. მათგან განსხვავებით, „ანტიკოსები" ორგან გამოვლენ - 10-12 აგვისტოს, რუმინულ ბრაშოვში **იონ კორნიანუს** მემორიალში და 16-18 აგვისტო, ვარშავაში, **პეტლიასინსკის** მემორიალში. ოღონდ რუმინეთში თუ სრული გუნდით გამოვლენ, პოლონეთში ორიოდ მონაწილეს გააგზავნიან გამოსაცდელად. **ბეგი დარჩიას** რუმინეთში ლამის უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს: **მამუკა ხოზრევანიძე** (55), **დავით ბედინაძე** (60), **ლაშა ლომაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96), **რევაზ ჭელიძე** და **გურამ ფერსელიძე** (მძიმე). ჩვენები იქ ერთი კვირით ადრე ჩავლენ და შეკრებასაც გაივლიან.

მწვრთნელები რომ მსოფლიოზე წასაყვან შემადგენლობას ჯერ არ ასახელებენ, ზემოთაც გითხარით, მაგრამ ძალზე საინტერესოა დარჩიას ეს რჩეული, სადაც თითქმის ყველა ლიდერია შეყვანილი. სავარაუდოდ, იგი ბაქოში ამათ წაყვანას აპირებს და რუმინეთშიც სატურნირო პრაქტიკისთვის მიყავს. ლიდერთაგან გუნდში მხოლოდ **ირაკლი ჭოჭუა** (55) არაა. სავარაუდოდ, უპირველესი ფავორიტი ისაა, ხოზრევანიძეს კი, უბრალოდ, ცდიან. ძნელი წარმოსადგენია, ერთი ტურნირის - კარტოზიას სახელობის შეჯიბრების მოგებით იგი ლიდერად მიიჩნიონ, რადგან კაცმა არ იცის, როგორ იჭიდავებს უცხოეთში. თუ გაამართლა, ხომ კარგი, წონაში კონკურენცია გაიზრდება და ლიდერის საკითხს საკონტროლო შეხვედრა გაარკვევს. ვერ გაამართლებს და ჭოჭუას გზა ხსნილი ექნება. ამ წონაში **ლაშა გოგიტაძეცაა**, მაგრამ აგვისტოში ის ახალგაზრდების მსოფლიოზე იჭიდავებს და უფროსებში მისი ჩართვა გამორიცხულია. რაც შეეხება რუმინეთში ჭოჭუას არწაყვანას, ვფიქრობთ, მწვრთნელი მას წონის დაკლების მტკივნეული პროცესისგან იცავს.

ბარემ აქვე გეტყვით, კვირკველიას ჯერ ისევ აწუხებს ხელის მტევანი, რამაც ბალავაძის ტურნირიც გამოატოვებინა და დღემდე ვერც ზოგიერთი ილეთის დამუშავებას ახერხებს. ნოზაძეს ბეჭი ისეც აწუხებდა, გუშინწინ კი ვარჯიშზე ფეხიც ეტკინა. თუმცა არც ერთი ტრავმაა არაა სერიოზული. თან, მსოფლიომდე საკმაო დროა. რაც შეეხება პეტლიასინსკის ტურნირს, იქ **გენადი გოგიშვილი** (74) და **გივი მორჩილაძე** (96) იჭიდავებენ.

უფროსებამდე მსოფლიო პირველობაში ახალგაზრდები იჭიდავებენ - 21-26 აგვისტოს მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ პეკინში. ჩვენები იქ 10 დღით ადრე წავლენ ერთობლივ ვარჯიშებზე. „თავისუფალთა" თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ევროპის პირველობაზე არცთუ წარმატებული გამოსვლის შემდეგ გუნდი რამდენადმე გადაახალისა: **დავით ბერძნიშვილი** (50), **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **გიორგი მაყიშვილი** (60), **ნიკოლოზ რეხვიაშვილი** (66), **გოჩა ლომთათიძე** (74), **ბექა ჭელიძე** (84), **ზაალ მარტიაშვილი** (96) და **გიორგი ნიკურაძე** (მძიმე).

ამათგან ევროპაზე ბერძნიშვილს, მაყიშვილსა და მარტიაშვილს არ უჭიდავიათ, ხოლო ლომთათიძემ და ჭელიძემ კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

„ანტიკოსთა" თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ამჯერად საპეკინედ **გიორგი გოგბერაშვილი** (50), **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **ბექა როყვა** (74), **სერგო ნინუა** (84), **გენო ხელია** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (მძიმე) შეარჩია, თუმცა იქამდე ჯერ ერთი შეკრება კიდევაა და არაა გამორიცხული, ნაკრებში რაიმე კორექტივები შეიტანოს. მაგალითად, კონტინენტის წლევანდელ პირველობაზე ბრინჯაოს მედლის მომპოვებელი ნინუა სადღეისოდ ავადმყოფობის გამო ვერ ვარჯიშობს. ეს გუნდი ევროპირველობაზე არადამაჯერებელი გამოსვლის შემდეგ ისეც გვარიანადაა გადახალისებული - გოგბერაშვილი, ლაშხი, მამაგეიშვილი, როყვა და ხელია დაემატნენ.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობაზე ბრინჯაო გოგიტაძემაც მოიპოვა, ხოლო ორივე ნაკრები ჯერ უფროსებთან გაივლის შეკრებას ბაკურიანში, მერე კი ერთად გაემგზავრებიან ჩინეთში ერთობლივ ვარჯიშებზე, რაც აკლიმატიზაციაშიც დაეხმარებათ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

## ფოთში ჯილდოები უხვად დარიგდა



დასრულდა ნანა ალექსანდრიას სახელობის II საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი 16-წლამდელ მოჭადრაკეთა შორის. ტურნირის საპრიზო ფონდმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 15 000 ლარი შეადგინა. გაიზარდა პრიზიორთა და საპრიზო თანხების ოდენობაც, ის კი არა და, დამატებით სპეციალური ფულადი ჯილდოებიც კი დარიგდა.

ვიდრე პრიზიორებს გაგაცნობდეთ აუცილებელია ერთი ფაქტის აღნიშვნა: რამდენიმე მონაწილემ უნიკალური შედეგი აჩვენა და სასიამოვნოა, რომ ყველა მათგანი ქართველია. უნიკალურში კი ყველა პარტიის მოგებას ვგულისხმობთ - **ირაკლი ბერაძემ** და **მარი ჭოლაძემ** ცხრიდან ცხრა (!) ქულა დააგროვეს. ნებისმიერ ტურნირსა თუ ასაკობრივ ჯგუფში ასეთი შედეგიანობა ურთულესი საქმეა და ვინც ამას შეძლებს, აფერუმ, მის ვაჟკაცობას. 9 არა, მაგრამ 8.5 ქულა კი მოაგროვა **ნინო ჯალალონიამ** და არც ეს არის უნიკალურობის ნიშანს მოკლებული, - ჯალალონია ჯერ მხოლოდ 7 წლისაა და ასეთი წარმატება გამორჩევას უთუოდ იმსახურებს. 8 ქულაც არ არის ცოტა და გამორჩევა ეკუთვნის, თუმცა ამდენით მხოლოდ ერთმა მოჭადრაკემ, სომეხმა **ტიგრან ჰარუთუნიანმა** დაასრულა ტურნირი და 10-წლამდე ბიჭებში ჩემპიონიც გახდა. ეს ასაკობრივი ჯგუფი ერთადერთი აღმოჩნდა, სადაც ქართველებმა ვერ იპირველეს; მეტიც - მეორეზეც სომეხი ბიჭუნა - **არსენ აგაჯანიანი** გავიდა 7.5 ქულით. მესამეზე **ნიკოლოზ ქუმსიაშვილია** 7 ქულით.

საბოლოო შედეგები. **გოგონები: 8-წლამდელები:** 1. ნინო ჯალალონია-8.5; 2. თინათინ ლალაძე-6.5; 3. ელა სვანიძე-6.5; **10-წლამდელები:** 1. მარი ჭოლაძე-9; 2. ადა ქაქუთია-6.5; 3. ნინო ხომერიკი-6.5; **12-წლამდელები:** 1. ანა შამათავა-7; 2. ნანი უნაფქოშვილი-6.5; 3. თეკლა მაჭარაშვილი-6.5; **16-წლამდელები:** 1. მერი არაბიძე-7; 2. ქეთი წანალაშვილი-6; 3. სალომე სირაძე-6.

ჭაბუკები. **8-წლამდელები:** 1. ალეკო პანასენკო-7.5; 2. ლუკა ლიჩელი-7; 3. ავთო ფანჩულიძე-7; **10-წლამდელები:** 1. ტიგრან ჰარუტუნიანი-8; 2. არსენ აგაჯანიანი-7.5; 3. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი-7; **12-წლამდელები:** 1. ირაკლი ბერაძე - 9, 2. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - 7, 3. აკაკი რუხაძე-6.5; **16-წლამდელები:** 1. დავით ბენიძე-7; 2. ზვიად ფაცია-7; 3. დავით ლომსაძე-7.

ტურნირზე გამოვლინდნენ საუკეთესო მწვრთნელები. მათი გამორჩევა, ცხადია, შეგირდთა წარმატებებზე ეკიდა. მწვრთნელს გარკვეული რაოდენობის მოწაფე უნდა ჰყოლოდა და თუ ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, ჩასათვლელ ქულასაც მიიღებდა. გამოვლინდა ხუთი გამარჯვებული: პირველ ადგილზე **მაყვალა ხანთაძე** გავიდა, რომელსაც ჯილდოს სახით 600 ლარი გადაეცა; მეორეზე **გია მენაბდეა** - მისი ჯილდო 400 ლარს უდრის; შემდეგ მოდიან: **გიორგი მაჭარაშვილი** - 300 ლარი; **მურმან ესაძე** - 200 და **გიორგი გოგიჩაიშვილი** - 150 ლარი. ამათ გარდა, კიდევ ათი მწვრთნელი დაჯილდოვდა მცირე ფულადი პრიზებით...

მასპინძლებმა 2007 წლის საქართველოს ჩემპიონს 14 წლის გოგონათა შორის **ნინო ანაკიძეს** ნინო ჟვანიას სახელობის ფულადი ჯილდო - 1000 ლარი გადასცეს. ქალბატონი ნინოს ვაჟის, **ვანო ზოდელავას** ინიციატივით 1000 ლარით დაჯილდოვდა საუკეთესო ფოთელი მოჭადრაკე **ადა ქაქუთია**; ტურნირის დირექტორს და ორგანიზატორს **დავით კოდუას** კი 700 ლარი გადაეცა როგორც საუკეთესო ფოთელ მწვრთნელს.

დაჯილდოება, რა თქმა უნდა, ტურნირის დახურვის ცერემონიაზე მოხდა, სადაც ფოთის მერი **ვანო სალინაძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მრავლად იყვნენ საპატიო სტუმრები, მათ შორის კი ყველაზე გამორჩეული ქალბატონი **ნანა ალექსანდრია** გახლდათ. ფოთს ასევე სტუმრობდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **რომან სიჭინავა** და ვიცე-პრეზიდენტი **კახა შალამბერიძე**.

ნანა ალექსანდრიამ და რომან სიჭინავამ დიპლომებით დააჯილდოვეს ფესტივალის მხარდამჭერები: ფოთის მერი ივანე სალინაძე, ვანო ზოდელავა, **გოგი თოფაძე; თამაზ გვაზავა** და სხვები. სულ დაჯილდოების ცერემონიალს 400-ზე მეტი მაყურებელი ჰყავდა. დასასრულ, საპატიო სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მონაწილეებს და მომავალ ტურნირებში წარმატებები უსურვეს; იქვე დაჰპირდნენ საზოგადოებას, რომ მომავალ წელს ფესტივალი უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს და უფრო მიმზიდველი გახდება, რაც თავისთავად პრესტიჟის ამაღლებასაც ნიშნავს.

იმედია, რომ მოჭადრაკეებს და გულშემატკივრებს იმედები არ გაუცრუვდებათ.

**ზვიად შათირიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

**რაგბი** | პრესკონფერენცია




თამარ კინწურაშვილი, მერაბ ანთაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## საზოგადო რაგბი საზოგადო არხზე

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადებას განაგრძობს. ემზადება საზოგადოებრივი მაუწყებელიც, რომელმაც მსოფლიო თასის მატჩების ჩვენების ექსკლუზიური უფლება შეიძინა. "შერატონ მეტეხი პალასში" სადაც ბორჯღალოსნები არიან დაბანაკებული, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა, რაგბის კავშირისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

მერაბ ანთაძე, **რაგბის კავშირის პრეზიდენტი:** - როგორც იცით, ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების ტრანსლაციის უფლება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიძინა. რეპორტაჟების გარდა სხვა საინტერესო გადაცემებიც იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს რაგბის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას. უკანასკნელი ინფორმაციით, რაგბიში მსოფლიო თასის გათამაშებას ტელევიზიით მსოფლიოში 4 მილიარდი ადამიანი მიადევნებს თვალს.

მალე იგეგმება შეხვედრები კომპანიებთან, რომლებსაც შეგვიძლია საკმაოდ საინტერესო კომერციული წინადადებები შევთავაზოთ. ვფიქრობთ, ყველა მათგანისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს რაგბიში კაპიტალის დაბანდება.

თამარ კინწურაშვილი, **საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი:** - ჩვენთვის დიდი პატივია ქართველი მაყურებლისთვის იმ მსოფლიო თასის მატჩების შეთავაზება, სადაც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობს. ყველას კარგად ახსოვს რამხელა აჟიოტაჟი იყო, როცა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ვფიქრობ, ეს ინტერესი ამჯერად ერთიორად გაიზრდება. საზოგადოების ინტერესი სრულად იქნება დაკმაყოფილებული. პოპულარიზაციას გავუწევთ სპორტის იმ სახეობას, რომელიც მართლაც პერსპექტიული და წარმატებულია ჩვენს ქვეყანაში. ამასთან, საზოგადოებას უფრო ახლოს გავაცნობთ საქართველოს ნაკრების წევრებსაც, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არ იცნობენ, არაფერი იციან მათზე.

მოვაწყობთ სპორტულ ვიქტორინას. ვითანამშრომლებთ ასევე მედიის სხვა წარმომადგენლებთანაც. გავხსნით პრესცენტრს, სადაც შესაძლებელი იქნება სიახლეების შეტყობა. საფრანგეთში გაემგზავრება გადამღები ჯგუფი, რომელიც მოვლენათა ეპიცენტრიდან გადმოგვცემს რეპორტაჟებს. გაიმართება თოქშოუები. დაგეგმილია სხვადასხვა პიარ აქციებიც.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უკვე შეიძინა 2008 წლის პეკინის ოლიმპიადისა და 2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება.

მალხაზ ჭეიშვილი, **საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** - ნაკრების მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. თბილისური შეკრება 27 ივლისს დასრულდება. 3 აგვისტოს კი საფრანგეთში გავემგზავრებით და ოთხ საწვრთნელ შეხვედრას გავმართავთ. ცხადია გარკვეული პრობლემები გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა მათ მოგვარებას მაინც ვახერხებთ. ძალიან გვეხმარება ფრანგი ფიტნესმწვრთნელი ნიკოლა ფულკიე. საფრანგეთში ანრი ბრონკანიც შემოგვიერთდება და მისიც დიდი იმედი გვაქვს.

ნიკოლა ფულკიე, **ფიზმომზადების მწვრთნელი:** - მორაგბეები კარგ ფორმაში არიან. ძალიან კარგად ესმით, სად იმყოფებიან და რისთვის ემზადებიან. მათი ძალიან კმაყოფილი ვარ. ნაკრების წევრთა გარკვეული რაოდენობა მაღალი დონის გუნდებში თამაშობს. მათთან საქმე მარტივადაა. აი, ქვედა დივიზიონების მოთამაშეებს ცოტა უჭირთ და ვცდილობთ, დავაწიოთ. ახლა მზადების ყველაზე რთულ ფაზაში შევდივართ, წინ საკმაოდ გრძელი და რთული გზა გვაქვს გასავლელი საჭირო კონდიციებამდე რომ მივიდეთ.

ილია ზედგინიძე, **საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** - გუნდში შესანიშნავი განწყობაა. მზად ვართ ნებისმიერი სირთულის დასძლევად. გარწმუნებთ, რომ არავისთან, არცერთ მეტოქესთან არ ვაპირებთ რაიმეს დათმობას.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## კიდევ ერთი ლეგიონერი

ყოფილი ხულიგანელი და ამჟამად "ყოჩების" პირველხაზელი **ბექა შეყლაშვილი** მალე საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის "ორლენს" მიაშურებს. ამ გუნდში საქართველოს ნაკრების ცხრა ნომერი **ირაკლი აბუსერიძე** მესამე სეზონია, თამაშობს. შარშან "ორლენში" მეორეხაზელი **დიმიტრი ხოჭოლავაც** ირიცხებოდა.

შეყლაშვილი, მეტსახელად "შრეკი", საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ერთერთ ყველაზე პერსპექტიულ მორაგბედ ითვლება. იმედია, "ორლეანი", ელიტური დივიზიონის საუკეთესო კლუბში კარიერის გაგრძელებისათვის ტრამპლინად გამოდგება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**კალათბურთი** | საქართველოს ნაკრები

## შეკრება ათმა კაცმა დაიწყო

გუშინ, საღამოს, "დინამოს" ბაზაზე გამოცხადდა საქართველოს ნაკრების 10 მოთამაშე, რომლებსაც ახალ სანაკრებო ფორმაში გამოწყობილი **კენ შილდსი** მოჰყვა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მან ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **გორდონ ჰერბერტი** შეცვალა. შილდსს გუშინდელ ვარჯიშზე ერთადერთი თანაშემწე ჰყავდა - იტალია-სლოვენიის ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატიდან დაბრუნებული **დავით უსტიაშვილი**. დანარჩენი ორი მწვრთნელი **კენი ატკინსონი** და გორდონ ჰერბერტი გუნდს სავარაუდოდ 23 ივლისს ბულგარეთის ტურნირისთვის შეუერთდება.

ხუთი-ხუთზე თამაშისთვის იდეალური ვარიანტი იყო შეკრების პირველ დღეს ნაკრების 10 წევრის გამოცხადება, მაგრამ გუნდის შენების პროცესისთვის ექვსი ძირითადი კალათბურთელის დაგვიანება სასიკეთო ნამდვილად არ იყო:

**ზაზა ფაჩულიას** 20 ივლისისთვის თბილისში ელიან, **ლაშა გამყრელიძე** გუნდს დღეს შეუერთდება. საღამოს ვარჯიშზე არ გამოცხადდა **ვიქტორ სანიკიძე**, რომელიც უკვე საქართველოშია, მაგრამ ტრავმის გამო მხოლოდ დილის ვარჯიშს დაესწრო. ვიქტორმა კოჭი ამერიკის საზაფხულო ლიგაზე "ატლანტასთან" მატჩში დაიზიანა და მისი ბულგარეთის ტურნირზე თამაში თითქმის გამორიცხულია. ოკეანის გაღმიდან ჯერ არ დაბრუნებულა **ნიკა ცქიტიშვილი**, რომელმაც ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა "დენვერში" ჩაატარა. ასევე უცნობია **ტაირონ ელისისა** და **ვლადიმერ ბოისას** ნაკრებთან შეერთების თარიღი.

ასე და ამგვარად, შეკრების პირველ დღეს ვარჯიშზე სამი ლეგიონერი იყო - **გიორგი ცინცაძე** ("ტარტუ როკი", ესტონეთი), **მანუჩარ მარკოიშვილი** ("კიევი", უკრაინა) და **ვატო ნაცვლიშვილი** (გასული სეზონი ფრანგულ "დიჟონში" გაატარა). მათ გარდა ივარჯიშეს: **გიორგი მარკოიშვილმა, გიორგი შერმადინმა, კოტე ტულუშმა, ზვიად ბაბიაშვილმა, ბესიკ ლეჟავამ, დავით უგრეხელიძემ** და **ანატოლი ბოისამ.**

კენ შილდსი ყველაზე დიდ ყურადღებას დაცვაზე მუშაობას უთმობდა. ყოველი შედეგიანი შეტევის შემდეგ მწვრთნელი კარგად დამგვირგვინებელს კი არ ამხნევებდა, დამცველს უბღვერდა - რატომ გაატარეო. უბღვერდა არა ისე, როგორც უფროსი - უმცროსს, არამედ - როგორც მეგობარს. ერთ ეპიზოდში გიორგი ცინცაძესთან მივიდა, ფეხი დაადგა და მანამ არ შეეშვა, ვიდრე რამდენიმე წუთის წინ დაშვებულ შეცდომაზე დეტალურად არ ესაუბრა. ცინცაძე-შილდსის ურთიერთობა წვრთნის შემდეგაც გაგრძელდა: მწვრთნელმა ტრიბუნა გაათავისუფლა, "ბუს" დაუძახა და გვერდით დაისვა. წელს კარგი სეზონი გქონდაო...

მოკლედ, პირველივე დღეს გამოჩნდა, რომ ნაკრების ახალ მწვრთნელს მოთამაშეებთან ურთიერთობაში პრობლემები არ ექნება. ეს ბევრ უცხოელ (ქართველსაც) მწვრთნელს არ გამოდის. არადა, ოსტატ-შეგირდის კარგი ურთიერთობა ნებისმიერ საქმეში წარმატების საფუძველია.

საღამოს ვარჯიშმა ორი საათი გასტანა და ორმხრივი თამაშით დასრულდა. პირველი მატჩი ლურჯებმა (მანუ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, ზვიად ბაბიაშვილი, ბესიკ ლეჟავა) მოიგეს. მეორეში გამარჯვება ვერცხლისფერებს (კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა, ვატო ნაცვლიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, დავით უგრეხელიძე) დარჩათ. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კენ შილდსი მოედნის კიდესთან გამოვიდა და ჩვენი მილოცვაც მიიღო:

**- ჯეიმს ნეისმიტის სახელობის ჯილდოს მიღებას გილოცავთ.**

- გმადლობთ. ეს დიდი აღიარებაა. ნეისმიტის სახელობის პრიზი აქამდე მხოლოდ ორ კანადელს ჰქონდა - სტივ ნეშსა და "ტორონტოს" მფლობელს. მათ გვერდით ყოფნა ჩემთვის მეტად საპატიოა.

**- დაჯილდოების ცერემონიალი 19 ივლისს კანადაში უნდა შემდგარიყო...**

- დაგეგმილი ასე იყო, მაგრამ რადგან 18 ივლისს საქართველოში ვარ, ე.ი. ეს საქმე უფრო მნიშვნელოვანია.

**- გორდონ ჰერბერტის წასვლისა და თქვენი მოსვლის შემდეგ გუნდში რა შეიცვლება?**

- მე და გორდონს ზოგიერთ საკითხში განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ საქართველოს ნაკრებთან მიმართებაში ერთი სისტემით ვმუშაობდით და გეგმას არ გადავუხვევ. ვიმედოვნებ, ჰერბერტის დაწყებულ საქმეს კარგად გავაგრძელებ.




კენ შილდსი და დავით უსტიაშვილი

**- ოფიციალური მატჩებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად დრო საკმარისია?**

- არასაკმარისია დრო ბულგარეთის ტურნემდე, თორემ თუ გუნდი დროულად და სრულად შეიკრიბა, შესარჩევი ტურნირისთვის კარგად მომზადება უნდა მოვასწროთ. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს მატჩების გამართვა.

**- ერთ-ერთი დიდი ბრიტანეთი იქნება. მასში NBA-ში მოთამაშე დენგი ირიცხება და შეიძლება ფლეი ოფში ჩვენი მოწინააღმდეგეც იყოს...**

- ფლეი ოფამდე დიდი დროა. დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თუ გუნდი სათანადო ფორმაში იქნება, ვერც ერთი მეტოქე ვერ შეგვაჩერებს.

**- დღევანდელ ვარჯიშზე რას იტყვით?**

- ბიჭები მეტად მონდომებულები იყვნენ, ბევრი ენერგია ჩადეს და მათით კმაყოფილი ვარ. თუმცა ეს ვარჯიშის პირველი დღეა და დაღლაც დაეტყოთ.

**- ვის გამოარჩევთ?**

- "ბუს" (ცინცაძეს), რომელსაც კარგი სეზონი ჰქონდა. ეს მისი ვარჯიშიდანაც ნაკლად ჩანს. გამოვყოფ მანუჩარ მარკოიშვილს. იგი გუნდისთვის დიდი ძალაა.

**- წინახაზელებიდან?**

- გიორგი შერმადინი ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ დღეს ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რომ დამარწმუნა, კარგი მომავალი აქვს. დავით უგრეხელიძე შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესებულია, ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილმა ნაკრებში უნდა ითამაშოს...

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ჩოგბურთი**

## ბათუმის კორტები იყიდება

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ხათუნა ბოლქვაძემ** განიხილა შპს „ჩოგბურთის კლუბ ბათუმის" დირექტორ **ჰენრი სანიკიძის** განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების თაობაზე. დადგინდა, რომ გაიხსნას გაკოტრების საქმე და ჩოგბურთის კლუბ „ბათუმს"აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა. ეს ნიშნავს, რომ კლუბი „ბათუმი"გაკოტრებულად გამოცხადების შემდეგ გაიყიდება. ვინ დაეპატრონება საჩოგბურთო კორტებს, ამას ალბათ მალე შევიტყობთ.

აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ვლადიმერ ასათიანი** ამბობს, რომ მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, კორტების გასხვისებას ხელი ვერ შეუშალა, მაგრამ იმედს გამოთქვამს, რომ ახალი მეპატრონე სპორტულ არენას შეინარჩუნებს.

ვლადიმერ ასათიანი: *„მოხარული ვიქნები, თუ ახალი მფლობელი ჩოგბურთის მიმართ გულგრილი არ იქნება. თუკი ის ინფრასტრუქტურასა და სპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელს შეუწყობს, ამას მხოლოდ მივესალმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბათუმში ჩოგბურთის კერა აღარ დარჩება".*

კომენტარისთვის აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საწარმოთა მართვის განყოფილების უფროსს **ლევან მჟავანაძეს** დავუკავშირდით: *"ობიექტი უნდა გაიყიდოს რაც შეიძლება მაღალ ფასად, გაყიდვის შემდეგ კი კორტების ახალი მეპატრონე თავად გადაწყვეტს, კორტებს დატოვებს თუ სხვა ობიექტს ააგებს".*

მაშ ასე, ბათუმის ცენტრალური სტადიონის გაყიდვის შემდეგ, საჩოგბურთო კორტების ჯერი დადგა. ბათუმში უკვე საუბრობენ ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე №1 კომპლექსური სპორტული სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სავარაუდო გაყიდვის შესახებაც.

რაც შეეხება ბათუმის ტრადიციულ, ქალთა საერთაშორისო ტურნირს „Batumi Ladys Open"-ის, ვლადიმერ ასათიანის ცნობით, შეჯიბრება წლეულსაც გაიმართება, საპრიზო ფონდი კი, ისევე როგორც შარშან, 25 000 აშშ დოლარი იქნება.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მეორე წრეში დამარცხდა

ცინცინატიში მიმდინარეობს WTA-ის ტურის "დასავლეთი და სამხრეთი ფინანსური ჯგუფის" ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარია. 17 წლის ქართველმა **ანა ტატიშვილმა** უკვე მოახდინა სენსაცია ტურნირზე - მან ჯერ სამი საკვალიფიკაციო წრე გაიარა, შემდეგ კი მეხუთე ნომრად განთესილი იაპონელი **აიკო ნაკამურა** სამ სეტში დაამარცხა - 1:6, 6:4, 7:6. ყველაფერი მესამე სეტის ტაი-ბრეიკში გადაწყდა, რომელიც ტატიშვილმა მსოფლიოს 57-ე ჩოგანს 7:4 მოუგო.

ანა ტატიშვილი WTA-ის ტურის ძირითად ბადეში სულ მეთერთმეტე მატჩს თამაშობდა კარიერაში. მან პირველი ეტაპი მესამედ გადალახა, პირველად ანამ ეს შარშან მაიამიში შეძლო, როცა ინდოელი **სანია მირზა** დაამარცხა, მეორედ ჩარლსტონის ტურნირის პირველ წრეში ქართველმა ესპანელი **ლაურა პოუს-ტიო** დაამარცხა. ნაკამურა ახალგაზრდა ქართველის კარიერის მესამე მსხვილი "ნანადირევია". დღეისთვის ტატიშვილი მსოფლიოს 368-ე ჩოგანია. "*პირველ სეტში ძალიან ვინერვიულე. კიდევ კარგი, ეს ჩემთვის ტურნირზე პირველი მატჩი არ იყო, საკვალიფიკაციოში გამართულმა სამმა შეხვედრამ მიშველა. ტაი-ბრეიკის წინ უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვება მე დამრჩებოდა*", - განუცხადა "ცინცინატი პოსტს" ჩვენმა თანამემამულემ.

ცინცინატის ტურნირის მერვედფინალში ანა ტატიშვილის მეტოქე იყო ამერიკელი **ლილია ოსტერლო**, რომელიც ახლა მსოფლიოს 112-ე ჩოგანია, თუმცა ადრე ელიტის ორმოცდაათეულში შედიოდა. ანა დამარცხდა - 5:7, 1:6. ტურნირის პირველი ჩოგანი ქართული წარმოშობის რუსი **ანა ჩაკვეტაძეა.**

ფრანგულ კონტრექსვილში წარმატებით დაიწყო ასპარეზობა საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (146). ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია, მაკა მეშვიდე ნომრადაა განთესილი. ჩახნაშვილის პირველი მეტოქე მასპინძელი **ორელი ვედი** (412) იყო, რომელსაც იოლად აჯობა - 6:3, 6:0. მერვედფინალში ჩახნაშვილი ჩერნოგორიელ **დანიცა კრსტაიჩს** (250) შეხვდება. წყვილთა თანრიგში ესტონელ **ანისთან** ერთად მაკა მეოთხედფინალშია.



ანა ტატიშვილი

გერმანიის ქალაქ გარხინგში საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადის მოგებისა და იქაური მედიის შექების დამსახურების შემდეგ 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ძირითადი ბადის პირველ წრეში დასანანი მარცხი განიცადა - მას ახალზელანდიელმა **დიან ჰოლენდსმა** აჯობა. ოქსანა ვერას გახდა რვა წლით უფროს მეტოქესთან - 5:7, 4:6. წყვილთა თანრიგში ოქსანა ფინელ **კატარინა ტუოჰიმაასთან** დუეტში მეოთხედფინალშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# ისევ საფრთხეში

გუშინ, ორი ექსკომუსუბის ბრძოლა იაპონელმა **კისენოსატომ** მოიგო - მან ქართველი **კოკაი** ცუკიოტოშის ილეთით დაამარცხა. თავიდან კოკაი მიაწვა და მეტოქე დოჰიოს კიდემდე მიიყვანა, იქ კი კისენოსატომ მარჯვენა მხრიდან შეუტია ქართველს. პირველად ნაგოიას ბაშოზე, მეცხრე მაეგაშირა კოკაის უარყოფითი ბალანს აქვს, მან ხუთი ორთაბრძოლა მოიგო და ექვსი წააგო. დღეს კოკაის მეტოქე მე-4 მაეგაშირა **ტამანოშიმაა**, რომელსაც მხოლოდ 4 მოგება აქვს. შეგახსენებთ, რომ ქართველს კიდევ ერთი წაგების უფლებაღა აქვს. ელიტის რიკიშთაგან კოკაი ყველაზე მეტჯერ ტამანოშიმას შეხვედრია: კოკაი ოთხჯერ დარჩა გამარჯვებული, ათჯერ ტამანოშიმამ იმარჯვა.

ბაშოზე იოკოძუნა **ასაშორიუმ** ერთპიროვნული ლიდერი **კოტომიცუკი** დაამარცხა, ახლა სამ სუმოისტს 10-10 მოგება აქვს (ასაშორიუ, კოტომიცუკი, **ჰაკუჰო**). მესამე დივიზიონში ნაადრევად გაიფორმა უარყოფითი ბალანსი **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), რომელმაც **საცუმანიშიკისთან** წააგო. გაგამარუს 2-4 ბალანსი აქვს, ის მაკუშიტას დივიზიონის 39-ე ფალავანია, ჩვენებური უკან დაიხევს, მაგრამ დივიზიონიდან არ გავარდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ნაგოიას ბაშო

ივლისის სუპერტურნირი
8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

XI დღე: კოკაი-კისენოსატო 0:1 (ცუკიოტოში), ასაშორიუ-კოტომიცუკი 1:0, ჰაკუჰო-ამა 1:0, ჩიოტაიკაი-ტაკამისაკარი 1:0, კოტოოშუ-მიაბიამა 1:0, კაიო-ჰომაშო 1:0, ტოკიტენკუ-კოტოშოგიკუ 1:0, ამინიშიკი-ტოიონოშიმა 1:0

სატურნირო მდგომარეობა: 10-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე); 9-2: ჰომაშო (მაეგაშირა 6); 8-3: კაიო (ოძეკი), ტოჩინონადა (მ 9), ჰოკუტორიკი (მ 10), ტოიოჰიბიკი (მ 14), კაიჰო (მ 15); .. 5-6: კოკაი (მ 9)

XII დღე: კოკაი-ტამანოშიმა, ჰაკუჰო-კაიო, ასაშორიუ-კოტოოშუ, კოტომიცუკი-ჩიოტაიკაი, დეჯიმა-ამა, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ, ასასეკირიუ-ტოკიტენკუ.

სპორტის აკადემია

# ბოლო იმედი პრეზიდენტია



გუშინდელ დღეს მოუთმენლად და იმედით მოელოდა სპორტის აკადემიის ბედით დაინტერესებული საზოგადოება. აკადემიის შენარჩუნების მოთხოვნით მრავალრიცხოვანი მხარდამჭერის (24 საათში შეგროვდა 2500 ხელმოწერა) წერილობითი მოთხოვნა უნდა გადაცემოდა ქვეყნის პრეზიდენტს, ჭავჭავაძის უნივერსიტეტში კი დათქმული იყო შეხვედრა პრინციპულ საკითხებში სიცხადის შესატანად. ამასობაში ინფორმაცია გავრცელდა თითქოს მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა** განაცხადა, რომ აკადემიას შეუნარჩუნდება სტატუსი. აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **ირაკლი დოლაბერიძემ** ამასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: "*თუ ლაპარაკია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის შემადგენლობაში სტატუსის შენარჩუნებაზე, ჩვენ ამას არ დავთანხმდებით, ეს მორიგი სატყუარაა. ჩვენ გვინდა სრული დამოუკიდებლობისა და სტატუსის შენარჩუნება*".

პრეზიდენტის კანცელარიას ტექსტი და ხელმოწერები ჩაბარდა. შედგა შეხვედრა ზემოხსენებულ უნივერსიტეტშიც, მაგრამ არა იმ ჩარჩოში, როგორც იგეგმებოდა. "*აკადემიის კოლექტივმა გადაწყვიტა, უარი გვეთქვა შეხვედრაზე, მაგრამ სიტყვა რომ არ გაგვეტეხა, მე მაინც მივედი უნივერსიტეტში და რექტორს გავაცანი კოლექტივის გადაწყვეტილება. მასპინძელი კმაყოფილი დარჩა ყურადღებისთვის. მე მას ვუთხარი, რომ მისასალმებელია უნივერსიტეტის მისწრაფება, ჰქონდეს ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, მაგრამ არა ჩვენი აკადემიის ხარჯზე. ასეთი ფაკულტეტები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია უნივერსიტეტებთან, მაგრამ უარს არავინ ამბობს სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელზე*", - გვითხრა ირაკლი დოლაბერიძემ.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ იღებენ მხარდამჭერ წერილებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ამასთან გრძელდება ხელმოწერები მთელ საქართველოში.

## საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას

**ძვირფასო კოლეგებო!**

დიდი მწუხარებით შევიტყვეთ საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებლის ლიკვიდაციის განზრახვის ცნობა.

თქვენს აკადემიას მთელ მსოფლიოში იცნობენ, როგორც უდიდეს სასწავლო-სამეცნიერო და სპორტულ ცენტრს. ამ აკადემიაში ჰარმონიულადაა შერწყმული კადრების მომზადება და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა. განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალი კლასის სპორტსმენთა - პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონთა და პრიზიორთა მომზადებაში ხელშეწყობას. დღეს აკადემია 18 ოლიმპიურ ჩემპიონს, 300-მდე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს მოითვლის. ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნულ დამსახურებას, მიგვაჩნია, რომ ისეთ სპორტულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს ამ პროფილის უმაღლესი სასწავლებელი.

ჩვენ ჩამოგვიყალიბდა მჭიდრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიასთან, რომლის რეიტინგი და სამეცნიერო პოტენციალი ასე მაღალია და ცნობილია მთელ მსოფლიოში. აქ აღზრდილი სპეციალისტები წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ჩვენი ღრმა რწმენით, აკადემიის გაერთიანება სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელთან, მიგვიყვანს იქამდე, რომ იგი მთლიანად დაკარგავს თავის ფუნქციას.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს მთავრობა თავს შეიკავებს ამ ნაბიჯისგან და ყველაფერს გააკეთებს, რათა აკადემიამ კვლავაც შეინარჩუნოს თავისი მაღალი სტატუსი.

**ვ. ა. კაშუბა,**

**უკრაინის ფიზიკური აღზრდის ნაციონალური უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო-კვლევით დარგში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

ფრენბურთი

მსოფლიო სერია

# მოგება-წაგება

მარსელში, მსოფლიო სერიის მორიგი ეტაპის ძირითად ბადეში, პირველ დღეს **საქა-რთველომ** ორი მატჩი გამართა. ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც 25-ე ნიმრად არიან განთესილი, მე-8 ნომერი, ჩინელთა წყვილი, **ლი ჭანკი** და **ძუო** დაამარცხა 2:0 (24:22, 21:11), მერე კი მასპინძლებთან მე-9 ნომრად განთესილ **ფორისა** და **სარპოს** დუეტთან დამარცხდა 0:2 (19:21, 19:21). მორიგ შეხვედრას საქა-რთველო ხვალ გამართავს. ჩვენებს წაგების უფლება აღარ აქვთ. **გეორ-გია** დღეიდან ჩაერთვება ვაჟთა ტურნირში.

**ბესიკ ჯანგავაძე**

თერილი



**ქეთევან არახამია-გრანტი.** დაიბადა 19.07.1968, ოჩამჩირე. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (1987). საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის ჩემპიონი (1994, 96), მეორე (1990, სსრკ ნაკრებში) და მესამე (1998) პრიზიორი - 1990 და 1996 წლებში თავის დაფებზე მოიპოვა მცირე ოქროს მედლები (12-დან 12 და 10-დან 8). ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული (1997) და მეორე პრიზიორი (1992), ევროპის პირადი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2001). მსოფლიოს ჩემპიონი 20-წლამდელთა გოგონათა შორის (1985). საქართველოს სამგზის (1983, 84, 90), სსრკ (1990) და დიდი ბრიტანეთის (2003) ჩემპიონი, შოტლანდიის ჩემპიონი კაცთა შორის (2003). ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. 1996 წლიდან ცხოვრობს შოტლანდიაში - მისი მეუღლეა იქაური მოჭადრაკე ჯონათან გრანტი.

ხელბურთი — ეროვნული ნაკრები



თამაზ თევზაძე და ზურაბ კაკაბაძე

# ჩელენჯი საქართველოსა და შოტლანდიაში

საქართველოს ოფიციალურად მიენიჭა "ჩელენჯ ტროფის" ორიდან ერთი ქვეჯგუფის მასპინძლობა. საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები, 25-27 ოქტომბერს, თბილისში ითამაშებს აზერბაიჯანთან, მოლდოვასა და სომხეთთან ერთად.

ზურაბ კაკაბაძე, **საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი:** - 2006-2007 სეზონის დასრულების შემდეგ საკმაოდ მოკლე ხნით მოგვიწია დასვენებამ და უმალვე ახალი სეზონისთვის სამზდისს შევუდექით. წინ ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს - ჩასატარებელია ასაკობრივი და ეროვნული ჩემპიონატები, 1 სექტემბერს ევროთასებში ჩაერთვებიან სტუ-"თელავი" და "თბილისი", ხოლო ოქტომბრის ბოლოს, "ჩელენჯ ტროფს" უნდა ვუმასპინძლოთ. მოხარული ვარ, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციამ "ჩელენჯ ტროფის" მასპინძლობა გვანდო. ეს ჩვენთვის დიდი პატივია და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ევროპის ფედერაციის ოფიციალური ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ.

არ დაგიმალავთ, საკმაოდ ბევრი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი - მოსაძიებელია თანხა, მოსაგვარებელია დარბაზისა და კიდევ არაერთი წვრილმანი საკითხი, მაგრამ ყველაფერს მოვუვლით. მთავარია, მშვიდად მუშაობა გვაცალონ. სამწუხაროდ, გვაქვს მწარე გამოცდილება, როცა გამოჩნდებოდნენ ხოლმე ვითომ კეთილმოსურნეები, რომლებიც იწყებდნენ სირბილს ქართული სპორტის მაღალჩინოსნებთან და ჩვენს დაუკითხავად სთავაზობდნენ ამა თუ იმ შეჯიბრების მიულებელ ადგილას ჩატარებას. თანახმა ვარ, მოვისმინო ნებისმიერი წინადადება და შენიშვნა, მაგრამ ვერაფრით დავუშვებ, რომ საერთაშორისო წესდება დავარღვიოთ და ვთქვათ, ტურნირი ჩავატაროთ არასტანდარტულ დარბაზში...

თითქმის ყველა ლეგიონერს ველაპარაკეთ და ისინი თანახმანი არიან, რომ "ჩელენჯ ტროფზე" ითამაშონ. შეკრება ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყება. მართალია, გუნდს მოსამზადებლად არც ისე დიდი დრო იქნება, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ფინანსური მდგომარეობა არ გვაძლევს მეტის საშუალებას და მეორეც, ხელბურთელი ეროვნულ ნაკრებში არ უნდა შედიოდეს ფორმაში - იგი თავისი კლუბიდან ჩამოვიდეს მაქსიმალურად კარგად მომზადებული.

თამაზ თევზაძე, **საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი:** - "ჩელენჯ ტროფის" ისტორიაში, წლეულს ახალი ეტაპი იწყება. იგი პირველად ჩატარდება ორ ქვეჯგუფად. ერთ ჯგუფს ჩვენ ვუმასპინძლებთ და ეს სულაც არაა შემთხვევითობა. ევროპის ხელბურთის ფედერაცია მუდამ ისეთ გამიზნულ ნაბიჯს დგამს, რომელიც აუცილებლად წაადგება ჩვენი სახეობის განვითარებას. ევროხელბურთის შეფებმა იციან, რომ სამწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ნაკრები წლეულს დაუბრუნდა ევროარენას, სადაც შედეგი ვერ აჩვენა. იციან ისიც, რომ აქტიურად ვიწყებთ მუშაობას შემდეგი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის და გადაწყვიტეს, "ჩელენჯ ტროფის" მასპინძლობის უფლების მონიჭებით ამოგვიდგნენ გვერდში.

ასევე, გამიზნული ნაბიჯი იყო მეორე ჯგუფის მატჩების შოტლანდიაში ჩატარება. ბრიტანულ ქვეყნებს, არ ჰყავთ ხელბურთში ძლიერი გუნდები და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე, გაერთიანებული ნაკრებით გამოსვლას გეგმავენ. სწორედ ამიტომ დანიშნეს მეორე ჯგუფის მატჩები შოტლანდიაში, სადაც მასპინძლების გარდა, ითამაშებენ ინგლისელები, ირლანდიელები, მალტელები, ლუქსემბურგელები და ფარერელები. ნოვაციაა ისიც, რომ ჩვენი და შოტლანდიის ჯგუფების გამარჯვებულები, ფინალს ითამაშებენ 2008 წლის იანვარში, ნორვეგიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას.

**კობა ხატისაშვილი**

ვარსკვლავი

# შვილი, ჩოგანი, ჯაგერი

## ლინდსი აშშ-ის ლიაზე თამაშს აპირებს

ვერ ვიტყვით, რომ **ლინდსი დავენპორტის** იძულებული შვებულებით ქალთა ჩოგბურთი დაობლდა, მაგრამ ვეტერანი ამერიკელის პრო-ტურზე დაბრუნება რომ თავისთავად უმნიშვნელო მოვლენა არ არის, ესეც ფაქტია.

ლინდსის ტურნირებზე შარშანდელი სეზონის შემდეგ არ უთამაშია, ახლა კი, როდესაც პირად ცხოვრებაში ყველაფერი მშვენივრად აქვს და დასვენებაც მოახერხა, "დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ტრიუმფატორს WTA-ს ტურზე ომახიანად დაბრუნების სურვილი გაუჩნდა.

ლინდსის 10 ივნისს შვილი შეეძინა, რომელსაც **ჯაგერი** დაარქვა.

*"ჩოგბურთი მომენატრა, თუმცა ეგრევე დიდ ტურნირებზე ვერ გამოვალ. სათამაშო პრაქტიკა მაკლია და იმედი მაქვს, მოყვარულთა ტურნირებსა და წყვილებში თამაშით, ამ პრობლემას მალევე მოვაგვარებ"*, - აღნიშნა იანკმა მანდილოსანმა ლაგუნა ბიჩზე მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

ლინდსის მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლაა, ხოლო იქ მოსახვედრად კი, მან რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა აკრიფოს, რათა აღნიშნული ტურნირისთვის რეიტინგში სათანადო ადგილზე იმყოფებოდეს. შეგახსენებთ, რომ დავენპორტი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია.

დავენპორტი კორტებს შაბათს საღამოს, საკრამენტოში გასამართ World Team Tennis-ის საჩვენებელ ტურნირზე დაუბრუნდება. წყვილებში იგი რუს **ელენა ლიხოვცევასთან** ერთად მიიღებს მონაწილეობას, ხოლო მიქსტში კი მისი მეწყვილე **მარკ ნოულზი** იქნება.

პრესკონფერენციაზე, ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტი ლინდსის შვილისთვის სახელის შერჩევაზე ჩაეძია - **მიკ ჯაგერი** ხომ არაფერ შუაშიაო?

*"არა, "როლინგ სთოუნზის" წევრი არაფერ შუაშია. უბრალოდ, მე და ჩემმა მეუღლემ ეს სახელი ავარჩიეთ, თუმცა მიკის ჯგუფის დიდი ფანი რომ ვარ, არც ამას ვმალავ"*, - გაეღიმა დავენპორტს.

საკრამენტოს ტურნირზე ლინდსი ქმარ-შვილისა და ძიძის თანხლებით ჩავა, მერე კი ერთკვირიან შვებულებას აიღებს და ამის შემდეგ გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ამერიკის ღია პირველობამდე გასამართ რომელიმე ტურნირზე.

*"სეზონის ბოლო სასლემოზე გამოვალ და ეს უაილ-ქარდით გახდება შესაძლებელი"*, - დაასრულა პრესკონფერენცია ამერიკელმა ჩოგბურთელმა.

**ზურაბ თალაკვაძე**



ლინდსი დავენპორტი

## ტურნირები

### ATP

#### მერსედესის თასი

შტუტგარტი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 642 750 ევრო

**I წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ალექსანდრ ვასკე (გერ) 6:1, 6:1; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 3)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:1, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ლუკას ლაკო (სლოვაკ) 6:2, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-გილერმო კანიასი (არგ, 5) 6:7 (5), 6:2, 1:0 კანიასის უარი; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 6)**-გასტონ გაუდიო (არგ) 6:1, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 7)**-მაქსი მირნი (ბლრ) 6:3, 6:3; **ხუან მონაკო (არგ, 8)**-იან პერნიჩი (ჩეხ) 6:2, 6:1; **შტეფან კუბეკი (ავსტრია)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:2, 7:5; **დიეგო ჰარტფილდი (არგ)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:4, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-სიმონ გრეული (გერ) 6:1, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:7 (5), 7:6 (7), 6:4.

#### Countrywide Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 525 000 დოლარი

**I წრე**

**ზაკ ფლიშმანი (აშშ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 1) 7:6(5), 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-ალექსანდრ პეია (ავსტრია) 7:5, 6:4; **იგორ კუნიცინი (რუს)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 4) 7:6 (5), 7:5; **მარდი ფიში (აშშ, 6)**-სეკ კერი (აშშ) 7:5, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 6:1 ბოგდანოვიჩის ტრავმა; **რიკარდო მელო (ბრა)**-ფილიპ კინგი (აშშ) 6:4, 6:2; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-ტიაგო ალვეში (ბრა) 7:6 (2), 6:2; **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-უესლი უაიტჰაუსი (აშშ) 6:4, 6:3; **პოლ გოლდშტეინი (აშშ)**-ადრიან გარსია (ჩილე) 6:3, 5:7, 6:4; **უესლი მუდი (ს. აფრ)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:3, 6:2; **გეორგ ბასტლი (შვეიც)**-ილია ბოზოლიაკი (სერ) 6:4, 6:7 (5), 6:3.

#### ჰოლანდიის ღია

ამერსფორტი (ჰოლანდია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**I წრე**

**ფლორან სერა (საფ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 4:6, 6:1, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 2)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:2, 7:5; კარლოს მოია (ესპ, 3)-კრისტოფ როხუსი (ბელ) 6:2, 6:3; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 4)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:2, 6:4; **ვერნერ ეშაუერი (ავსტრია)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 7) 7:6 (1), 6:4; **სტივ დარცისი (ბელ)**-მარკ ჟიკელი (საფ, 8) 6:3, 6:4; **სერხიო როიტმანი (არგ)**-ჯერემი შარდი (საფ) 7:6 (5), 6:1; **რამონ სლუიტერი (ჰოლ)**-ლუის ორნა (პერ) 3:6, 7:5, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:1, 6:1; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 7:6 (7), 7:6 (5).

### WTA

#### Western & Southern Financial

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

**ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)**-ტატიანა პუტჩეკი (ბლრ) 6:4, 6:0; **პატი შნიდერი (შვეიც, 2)**-მონიკ ადამიჩაკი (ავსტრია) 6:2, 7:5; **ანა ტატიშვილი (საქ)**-აიკო ნაკამურა (იაპ, 5) 1:6, 6:4, 7:6 (4); **ელენა ვესნინა (რუს, 6)**-ანჟელიკა ბახმანი (გერ) 6:3, 6:4; **ჯილ კრეიბასი (აშშ, 9)**-ალექსა გლატჩი (აშშ) 6:2, 6:4; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 4:6, 6:4, 6:4; **ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლ)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:2, 6:4; **ვარვარა ლეპჩენკო (უზბ)**-კრისტინ ფლაუერი (აშშ) 6:2, 6:2; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 4:6, 6:4, 1:0 როდიონოვას დისკვალიფიკაცია; **ანდა პერიანუ (რუმ)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:3, 6:2; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-კონი ჰსუ (ჩინ) 6:1, 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ირინა კურიანოვიჩი (ბლრ) 6:1, 6:3.

#### Internazionali Femminili

პალერმო (იტალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**I წრე**

**მარტინა მიულერი (გერ, 2)**-ანდრეია კლეპაჩი (სლოვენ) 6:2, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-მარია კორიცევა (უკრ) 6:1, 6:4; **ემილი ლუა (საფ, 4)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:4, 6:3; **კარინ კნაპი (იტა)**-რობერტა ვინჩი (იტა, 5) 2:6, 6:2, 6:3; **სორანა კრისტეა (რუმ)**-კაია კანეპი (ესტ, 7) 6:2, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ, 8)**-იოანა ოლარუ (რუმ) 6:2, 6:1; **ეკატერინა ბიჩკოვა (რუს)**-ეკატერინა ივანოვა (რუს) 6:3, 6:1; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-სილვია დისდერი (იტა) 6:2, 6:3; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-მარია კამერინი (იტა) 6:0, 6:1; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ანტონელა სერა ძანეტი (იტა) 6:3, 6:3; **სარა ერანი (იტა)**-ვირდინ რაზანო (საფ) 6:2, 6:0; **კონჩიტა მარტინეს გრანდოსი (ესპ)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) 6:3, 6:3.

ფედერაციის თასი

# შარაპოვა ნაკრებიდან დაითხოვეს



რუსეთის ნაკრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა**, ფედერაციის თასის ფინალისთვის, რომელშიც რუსები იტალიის ნაკრებს უმასპინძლებენ, ნაკრებში აღარ მიიწვია მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა**. ამის მიზეზად კაპიტანმა ის გარემოება დაასახელა, რომ ის ყოველთვის ენდობა იმ ჩოგბურთელებს, რომლებმაც წინა ეტაპზე გამარჯვების მოპოვება შეძლეს.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში რუსებმა ამერიკის ნაკრებს მოუგეს. არადა, მათ რიგებს, შარაპოვას გარდა, ვისაც მხარის ტრავმა აწუხებს, **სვეტლანა კუზნეცოვაც** აკლდა. ამერიკელთა რიგებში კი თამაშობდა უიმბლდონის ჩემპიონი **ვენუს უილიამსი**. ამის მიუხედავად, რუსეთმა 3:2 მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ფედერაციის თასის შარშანდელი გამარჯვებული იტალია იქნება.

*"ვფიქრობ, არ ვიქნები მართალი, თუ ფინალისთვის შარაპოვას მივიწვევ და იმ ჩოგბურთელთაგან რომელიმეს დავითხოვ, რომლებმაც ამერიკის დამარცხებაში მიიღეს მონაწილეობა. ამიტომ, გუნდში ცვლილებას არ ვგეგმავ. თუ, რა თქმა უნდა, ამას გარემოება არ მიკარნახებს. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება გახდეს კუზნეცოვა, რომელსაც ტრავმის მოშუშების შემთხვევაში, აუცილებლად გამოვიძახებ"*, - ამბობს ტარპიშჩევი, ვინც ამავდროულად, დევისის თასზე რუსთა ნაკრებსაც კაპიტნობს.

რაც შეეხება შარაპოვას, ვინც ფლორიდაში ცხოვრობს, მას ხშირად აკრიტიკებენ იმისთვის, რომ ფედერაციის თასზე, რუსეთის ნაკრების რიგებში ერთხელაც არ უთამაშია. იმავე ტრავმის მომიზეზებით, მან ფედერაციის თასის მიმდინარე გათამაშების პირველ წრეშიც არ ითამაშა, როცა რუსები ესპანელებს ხვდებოდნენ.

კითხვაზე, მიიწვევს თუ არა ნაკრებში შარაპოვას მომდევნო სეზონში, ტარპიშჩევმა უპასუხა, რომ ამ სეზონის ბოლოს ის ამ საკითხზე იფიქრებს და სიტუაციიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას.

შესაძლოა, აშშ-ის ღია პირველობაზე არ ითამაშოს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ფრანგმა **ამელი მორესმომ**. მიმდინარე სეზონში მას მხოლოდ ერთი ტურნირი აქვს მოგებული, დიდი სლემის სამივე ჩატარებულ ტურნირზე კი მეოთხე წრის იქით გასვლა ვერ შეძლო. მისი მწვრთნელის (**ლოიკ კორტე**) თქმით, ამელი ახლა იმაზე ფიქრობს, რომ ნაადრევად დაასრულოს ეს სეზონი და მომდევნო სეზონისთვის მზადებაზე დაიწყოს ზრუნვა. თუმცა, კორტეს თქმით, არაა გამორიცხული, რომ მორესმომ ფლეშინგ მედოუსზე გამოსვლა მაინც გადაწყვიტოს.

ცნობისთვის, მორესმოს ამ ეტაპზე, რეიტინგში მეექვსე ადგილი უკავია, აშშ-ის ლიაზე კი მას ორჯერ უთამაშია ნახევარფინალში.

# TV სპორტი

**19 ივლისი. ხუთშაბათი**

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**18:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი. დინამო (თბილისი)-ვადუცი (ლიხტენშტაინი).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. რეალი-ბაიერნი. საპასუხო მატჩი.
**18:05** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ტოტენჰემი.
**19:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**20:30** ტოქ-შოუ - 2:1.
**21:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
**23:05** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო.
**00:55** რუსეთის ჩემპიონატი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**08:30** მინი-მოედანი.
**08:55** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:09** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბორუსია (დ).
**10:52** ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
**11:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**11:12** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი.
**12:55** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1971 წელი. ლივერპული-არსენალი.
**15:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
**16:42** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**17:10** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
**18:50** სპორტის ისტორია.
**19:00** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**19:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**20:35** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სარაგოსა.
**21:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:40** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1986 წელი. ლივერპული-ევერტონი.
**23:23** სპორტის ისტორია.
**23:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:41** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**00:10** კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**01:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:12** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი.
**02:55** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
**04:35** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1971 წელი. ლივერპული-არსენალი.
**06:50** სპორტის ისტორია.

### EUROSPORT

**10:30** ფეხბურთი. დანონის თასი. ლიონი. საფრანგეთი.
**11:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია.
**12:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. ავსტრია.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
**14:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი (LIVE).
**14:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი.
**16:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
**20:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ლივერპული.
**22:00** კრივი.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი.
**01:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი.

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**13:00** კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ბრაზილია-ავსტრია. პორტუგალია.
**18:00** კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
**19:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. საფრანგეთი-პოლონეთი. პორტუგალია.
**20:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი. პორტუგალია.
**22:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. იტალია-შვეიცარია. პორტუგალია.
**23:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
**00:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ესპანეთი-რუსეთი. პორტუგალია.
**02:15** ახალი ამბები.
**03:45** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
**05:45** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა

| I საკ. ეტაპი. I მატჩები | |
|---|---|
| პობედა (მაკ)-ლევადია (ესტ) | 0:1 |
| დუდელანჟი (ლუქ)-ჟილინა (სლოვა) | 1:2 |
| შერიფი (მოლ)-რეინჯერსი (ანდ) | 2:0 |
| მარსაქსლოკი (მალ)-სარაევო (ბოს) | 0:6 |
| დომჟალე (სლოვენ)-ტირანა (ალბ) | 1:0 |
| დერი (ირლ)-პიუნიკი (სომ) | 0:0 |
| პაუნარი (ისლ)-ტორსჰავნი (ფარ) | 4:1 |

### ევრო 2007

| UNDER 19 | |
|---|---|
| რუსეთი-სერბეთი | 2:6 |
| ესპანეთი-პორტუგალია | 1:1 |
| ავსტრია-საბერძნეთი | 1:1 |
| გერმანია-საფრანგეთი | 1:1 |

### აზიის თასი

| | |
|---|---|
| მალაიზია-ირანი | 0:2 |
| უზბეკეთი-ჩინეთი | 3:0 |
| ინდონეზია-კორეა | 0:1 |
| ს. არაბეთი-ბაჰრეინი | 4:0 |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-მაასტრიხტი | 0:1 |
| დუისბურგი-ბეშიქთაში | 0:1 |
| ლე მანი-ანჟერსი | 1:1 |
| მეცენი-პერტა | 0:0 |
| ნიურნბერგი-რუსენბორგი | 0:1 |
| სტანდარდი-ალემანია | 1:1 |
| უნტერჰახინგი-ოლიმპიაკოსი | 0:3 |
| არმინია-მიუნხენი | 0:1 |
| ბოხუმი-სლავია | 1:2 |
| დინამო (დრე)-შალკე | 1:1 |
| ცრვენა ზვეზდა-ვესტ ბრომვიჩი | 0:1 |
| სერკლი-მუსკრონი | 2:2 |
| ტრააუსტაინ-შივასი | 3:3 |
| პერენვეენი-უენსლი | 1:2 |
| ვენლო-ფოლენდამი | 0:0 |
| ვილემი-სტიაუა | 1:1 |
| კანი-ბრიუგე | 2:3 |
| ლენდერი-ვესტერლო | 1:1 |
| უნიონი-ლიდსი | 2:0 |
| ფორტუნა-გალათასარაი | 1:1 |
| ტრეტნა-მორტონი | 0:2 |
| გენკი-პორტუ | 1:0 |
| დარლინგტონი-სანდერლენდი | 0:2 |
| ბორუსია (მ)-ბაიერნი | 2:1 |
| ბრეი-უელზი | 0:4 |
| ფალკირკი-მილუოლი | 1:0 |
| რეითი-კილმარნოკი | 2:1 |
| რაშდენი-ნოტინგემი | 1:1 |
| შრიუსბერი-კოვენთრი | 2:2 |
| პსვ-ანდერლეხტი | გადაიდო |

### დანია

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-კოპენჰაგენი | 1:0 |
| რანდერსი-ვიბორგი | 2:0 |
| ორჰუსი-ჰორსენსი | 1:2 |
| ესბერგი-ბრონდბიუ | 1:0 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ჰამარბიუ-კალმარი | 1:0 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იარო-ინტერი | 1:0 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 2:0 |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ხიმკი-ლოკომოტივი | 1:2 |

### უკრაინა

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ხარკოვი | 0:1 |

## ჩოგბურთი

| ATP. ამერსფორტი | |
|---|---|
| კოროლიოვი-როიტმანი | 7:5, 7:6 |
| სერა-დე ბაკერი | 4:6, 6:3, 7:6 |
| იუჟნი-ჰანესკუ | 6:4, 6:2 |

| ATP. შტუტგარტი | |
|---|---|
| ჩელა-პაშანსკი | 7:5, 4:6, 6:4 |
| მონფილსი-ვანეკი | 6:1, 6:7, 2:6 |
| ვავრინკა-ჩილიჩი | 6:4, 6:1 |
| ფერდასკო-ფერერი | 7:5, 6:3 |

| WTA. პალერმო | |
|---|---|
| მალეკი-**ნადი** | 2:6, 5:7 |
| მიულერი-მარტინეს გრანადოსი | 6:2, 6:1 |
| ერანი-ბირნეროვა | 6:2, 6:0 |

| WTA. ცინცინატი | |
|---|---|
| დელაკუა-**კასეი** | 4:6, 6:4, 2:6 |
| **მირზა**-ლეპჩენკო | 6:2, 6:2 |

ტურ დე ფრანსი

# ტურის ფრანგული დღე

დიდი ხანია, ფრანგებს ტურ დე ფრანსის ჩემპიონი არ ჰყოლიათ. კარგა ხანს, ყველაზე პრესტიჟული ველომარათონის მასპინძლები ეტაპებზე მოპოვებული გამარჯვებებით იკმაყოფილებდნენ ამბიციებს, მაგრამ ახლა ეტაპების მოგებაც კი სანატრელი გაუხდათ. ასეა თუ ისე, ბასტილიის დღეს ისინი ყოველთვის ორმაგი თავგამოდებით იბრძვიან ხოლმე გამარჯვებისთვის, მაგრამ ხშირად არც ამ დღეს უმართლებთ. სამაგიეროდ, გუშინ ტურზე მათი დღე იყო - ფინიშზე პირველი ოთხიდან სამი ადგილი სწორედ ფრანგმა ველომრბოლებმა დაინაწილეს.

გამარჯვება **სედრიკ ვასორმა** მოიპოვა, ვინც ფინიშზე რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო თავის თანამემამულე **სანდი კასარს**. ფაქტობრივად, ამ გამარჯვებით, 36 წლის ვასორმა თავისი სპორტული კარიერა დააგვირგვინა, რომელსაც მიმდინარე სეზონის ბოლოს დაუსვამს წერტილს.

*"ახლა შემიძლია იმის თქმა, რომ სპორტიდან თავაწეული წავალ. ათი წლის წინათ, ტურის ხუთი ეტაპი ყვითელი მაისურით გავიარე. ძალიან მჭიდრო ფინიში გვქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვება მე დამრჩებოდა და ასეც მოხდა. მე ბედნიერი ვარ"*, - განაცხადა ვასორმა, ვინც 1997 წლის ტურზე მეხუთე (შატრეს) ეტაპი მოიგო და ყვითელი მაისურა ხუთ ეტაპზე შეინარჩუნა.

ვასორი ერთ-ერთი იყო იმ 11 ველომრბოლს შორის, რომლებმაც სტარტიდან 60 კილომეტრის შემდეგ, პელოტონის ჩამოტოვება გარისკეს. გარისკეს კი არა, მალე მათმა უპირატესობამ 14 წუთსაც კი მიაღწია. პელოტონს კი სიმშვიდე არ დაუკარგავს, რაც გასაგები იყო - დაწინაურებულთა შორის არ იყო ისეთი ველომრბოლი, რომელიც ყვითელი მაისურის მფლობელ დანიელ **მიქაელ რასმუსენს** ნახევარ საათზე ნაკლებით ჩამორჩებოდა.

ეტაპის მიწურულს, ორ ალმართიან (ორივე მესამე კატეგორიისა იყო) მონაკვეთზე, მოწინავეთა ჯგუფიც დაიშალა და საბოლოოდ, ფინიშთან ყველაზე ადრე ხუთი მივიდა, რომელთა შორისაც, ყველაზე სწრაფი ფეხები ვასორსა და კასარს აღმოაჩნდათ.

რბოლა პელოტონთან ერთად დაასრულა რასმუსენმა, ვინც იოლად შეინარჩუნა ლიდერობა. ამასთან, გუშინდელ ეტაპს არანაირი ცვლილება არ მოჰყოლია მოწინავე ათეულში.

### დოპინგის პირველი შემთხვევა

გუშინვე, სანამ ეტაპი სტარტს აიღებდა, ცნობილი შეიქნა, რომ ჯერ კიდევ ტურის დაწყებამდე, ივნისში ჩატარებულმა შემოწმებამ, სინჯში ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოუჩინა "ტე-მობილის" გერმანელ ველომრბოლ **პატრიკ სინკევიცს**. აღნიშნულის თაობაზე, გერმანიის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ შეტყობინება გაუგზავნა გერმანიის ველოსპორტის ფედერაციას. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ პირველი ტესტის შედეგია, მაგრამ ტურის ორგანიზატორებთან დადებული პაქტის საფუძველზე, სინკევიცი იძულებული იყო, მიეტოვებინა ასპარეზობა. თუმცა ეს მან უფრო ადრე გააკეთა, ამის მიზეზი კი მაყურებელთან შეჯახების შედეგად გატეხილი ცხვირი და მხარი გახდა.

"ტე-მობილმა" სინკევიცს კონტრაქტი შეუჩერა. ველომრბოლს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის. მაგრამ მას უფლება აქვს, განმეორებითი ტესტი მოითხოვოს. თუ ეს ტესტი პირველის პასუხს დაადასტურებს, მაშინ 26 წლის ველომრბოლის საქმე სპორტის ფედერალურ სასამართლოს გადაეცემა, გუნდი კი მის კონტრაქტს ცალმხრივად შეწყვეტს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გერმანიის საზოგადოებრივი ტელევიზია აცხადებს, რომ წყვეტს ტურის ეტაპების ტრანსლირებას. ჯერჯერობით, კომენტარისგან თავს იკავებს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი**. ის ამბობს, რომ განცხადებას განმეორებითი ტესტის შედეგების მიღების შემდეგ გააკეთებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-10 ეტაპი. ტალარიდან მარსელამდე (229.5 კმ)

**1. სედრიკ ვასორი (საფრანგეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 5:20.24 (42.978 კმ/სთ); 2. სანდი კასარი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) იგივე დროში; 3. მიხაელ ალბაზინი (შვეიცარია, ლიკიგაზი) იგივე დროში; 4. პატრის ჰალგანდი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) იგივე დროში; 5. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) იგივე დროში; 6. სტაფ შაირლინკქსი (ბელგია, კოფიდისი) 0.36; 7. პაოლო ბოსონი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.36; 8. მარკუს ბურგჰარდტი (გერმანია, ტე-მობილი) 1.01; 9. ალექსანდრ კუშინსკი (ბელარუსი, ლიკიგაზი) 2.34; 10. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, რაბობანკი) 2.34...**

კლასიფიკაცია ათი ეტაპის შემდეგ

**1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 49.23.48; 2. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 2.35; 3. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 2.39; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.41; 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.08; 6. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 3.18; 7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.39; 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 3.50; 9. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 3.53; 10. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 5.06...**



სედრიკ ვასორი





კობი ბრაიანტი

აშშ-ის ნაკრები

# ბრაიანტი ნაკრებშია

ამ კვირას, ლას ვეგასში ამერიკის ნაკრების პირველი შეკრება გაიმართება. კანდიდატთა შორისაა "ლეიკერსის" სუპერვარსკვლავი **კობი ბრაიანტიც**. გუნდში 17 მოთამაშეა გამოძახებული.

გუნდი სერიოზულად ემზადება ერთ თვეში გასამართი ამერიკის ჩემპიონატისთვის, სადაც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები უნდა გათამაშდეს. 20 აგვისტოს, ანუ ტურნირის დაწყებამდე 2 დღით ადრე, საკვალიფიკაციოს ყველა მონაწილემ საბოლოო შემადგენლობა უნდა დაასახელოს.

ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელობამ, თავიდან 32 მოთამაშეს უხმო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათი რიცხვი 17-მდე შემცირდა. ამერიკელებს **მაიკ კრუიჟევსკი** უდგას სათავეში.

კობის ნაკრებში შარშანაც უნდა ეთამაშა, თუმცა მუხლზე სასწრაფოდ ოპერაციის გაკეთება გახდა საჭირო და ბრაიანტი მსოფლიო ჩემპიონატზე ველარ გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ ამერიკა, რომლის შემადგენლობაშიც მუნდიალზე **ლებრონ ჯეიმსი, დუაიტ ჰოვარდი, კარმელო ენტონი, ელტონ ბრენდი, კრის პოლი** და **დუეინ უეიდი** გამოდიოდნენ, მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა, ჩემპიონობა კი ესპანეთმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში საბერძნეთს აჯობა.

წინა შემადგენლობიდან, ამერიკას ამჯერად ჯეიმსი, ენტონი, ჰოვარდი, **კრის ბოში, შეინ ბეტიე** და **კირკ ჰაინრიხი** შემორჩა. მათ დაემატებიან **ჩონსი ბილაპსი, ამარე სტაუდმაიერი, მაიკლ რედი, დერონ უილიამსი, ჯეისონ კიდი, კევინ დიურანი, ტაისონ ჩენდლერი, ტაიშონ პრინსი, ჯეი. ჯეი. რედიკი** და **მაიკ მილერი**. კემპზე უეიდი და **გრეგ ოდენიც** უნდა წასულიყვნენ, მაგრამ დუეინი ტრავმირებულია, ოდენს კი ახლახან გლანდების ოპერაცია გაუკეთეს.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება **კევინ გარნეტთან**, რომელმაც შარშან ნაკრებში თამაში ჯანმრთელობის გაუარესების გამო იუარა, წელს კი, მისივე თქმით, ეროვნულ გუნდში თამაშის სურვილი და მოტივაცია დაუბრუნდა.

NBA. ჰიუსტონ როკეტსი

# როკეტსმა სკოლა გაიფორმა

**ლუის სკოლას** პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში თამაში ელირსება. არგენტინელმა ვარსკვლავმა, რომელიც 2002 წლის დრაფტზე "სან ანტონიო სპურსმა" აირჩია, მერე კი "ჰიუსტონ როკეტსს" გაუცვალა, სწორედ ამ უკანასკნელთან გააფორმა კონტრაქტი.

*"ლუისი ჩვენი უმთავრესი სამიზნე იყო. დარჩენილი თავისუფალი აგენტებიდან და უკონტრაქტო მოთამაშეებიდან, იგი უძლიერესი და ყველაზე გამოცდილია. მეოთხე ნომერზე შარშან გარკვეული პრობლემები გვქონდა. გვჯერა, რომ სკოლას დამატებით, ამ პრობლემებსაც მოვაგვარებთ და იაო მინსაც გაუიოლდება სამწამიანში თამაში"*, - მიაჩნია "ჰიუსტონის" გენერალურ მენეჯერს, **დერილ მოურის**.

ლუისი გამოცდილი მეომარია, რომელმაც 2004-ში არგენტინის ნაკრებს ოლიმპიური თამაშების ოქრო მოაგებინა, შემდეგი ორი წლის განმავლობაში კი, სკოლა ესპანეთის ლიგის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს.

*"სკოლას სახით, ფლეი ოფისთვის აუცილებელი გამოცდილება და საბრძოლო სული დავიმატეთ. გამიმართლა, რომ პირველივე სეზონში, გუნდში ტრეისი მაკგრეიდი, იაო მინი და სკოლა მეყოლება"*, - ამბობს "ჰიუსტონის" ახალი მთავარი მწვრთნელი **რიკ ადელმანი**, რომელმაც ამ თანამდებობაზე **ჯეფ ვან განდი** შეცვალა.

27 წლის სკოლა ევროლიგაზეც სტაბილურად თამაშობდა, სადაც შარშან, ერთ მატჩში საშუალოდ 15.5 ქულას, 5.9 მოხსნასა და 2.2 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. სეზონის ბოლოს ლუისი აღნიშნული ტურნირის პირველ სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს.



ლუის სკოლა

NBA. მაიამი ჰიტი

# უეიდი კემპს გამოაკლდა

თუ დამდეგ სეზონში "მაიამი ჰიტს" NBA-ის ელიტაში დაბრუნება სურს, **დუეინ უეიდი** და **შაკილ ონილი** ჯანზე უნდა ჰყავდეს.

ფლორიდელთა საუკეთესო მექულე, მეპასე და უბრალოდ, გუნდის ყველაზე საჭირო წევრი, უეიდი ამჯერად ლოდერდეილში ნაოპერაციებ მუხლსა და მხარს მკურნალობს და ექიმების თქმით, დიდი შანსია, რომ 2006 წლის ფინალური სერიის უძვირფასესმა მოთამაშემ, თავისი გუნდის კემპის გახსნა გამოტოვოს. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ დუეინი ასი პროცენტით იქნება მზად რეგულარულის სტარტისთვის.

*"რეგულარულისთვის ნამდვილად მწყობრში ვიქნები, თუმცა კემპის პირველ ორ კვირას, ალბათ, გამოვტოვებ. მოვლენების ფორსირებამ შეიძლება ჩემი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვიოს, რაც გუნდის ინტერესებში არ შედის"*, - ამბობს დუეინი, რომელსაც ორივე ოპერაცია 15 მაისს გაუკეთეს.

მხრის ტრავმის გამო, "მაიამის" ვარსკვლავმა წინა რეგულარულის 23 შეხვედრა გამოტოვა, რაც მისი გუნდის სატურნირო მდგომარეობის გაუარესებაში აისახა. შეგახსენებთ, რომ **პატ რაილის** შეგირდებმა ფლეი ოფი პირველივე წრეში "ჩიკაგოსთან" სამარცხვინო წაგებით (0:4) დაასრულეს. უეიდი შარშანდელ სეზონში, კარიერაში საუკეთესო - 27.4 ქულას აგროვებდა.

ცნობისთვის, დუეინმა, შაკმა და გამთამაშებელმა **ჯეისონ უილიამსმა**, საერთო ჯამში 94 (!) მატჩი გამოტოვეს.

*"ჯანმრთელი დუეინით, შაკითა და მოტივირებული ჯეისონით ნებისმიერს მოვუგებთ, მათ გარეშე კი ფლეი ოფში გასვლაც კი გაგვიჭირდება"*, - მიაჩნია "ჰიტის" სათადარიგო ცენტრ **ზო მურნინგს**.

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა